8598

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП(б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა 16 ნოემბერი 1941 წ. № 272 (6277) ფასი 15 კაპ.

ჰიტლერული იმპერიალიზმის კრახი გარდუვალია

გმირული წითელი არმიის დარტყმების შედეგად არა მარტო რიცხვობრივად ილევა ჰიტლერელთა ურდოების ძალები,—ღრმა ცვლილებებიც ხდება გერმანიის არმიის განწყობილე-

[illegible]

გრძლივი, გაჭიანურებული ომის პერსპექტივებმა და, რაც მთავარია, ადამიანებისა და მატერიალურ საშუალებათა უდიდესმა, სულ უფროდაუფრო მზარდმა დანაკლისმა, ...

[illegible]

წოდებს. განა ეს აშკარა ნიშანი არ არის იმისა, რომ გერმანელთა სახელგანთქმული მოთმინების ფიალა უკვე ივსება, რომ გერმანული მორჩილება ...

[illegible]

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 ნოემბრის დილის ცნობა

14 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლას ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე.

* * *

ამხ. ტროფიმოვის ავიანაწილის მფრინავებმა, რომლებიც ლენინგრადის ფრონტზე მოქმედებს, ნოემბრის 10 დღის განმავლობაში მოსპეს მტრის 6 ტანკი, 15 ვაგონი სამხედრო ტვირთითურთ, 22 საზენიტო ქვემეხი, 7 საზენიტო სატყვიამფრქვევო დანადგარი, 10 ნაღმსატყორცნი, 5 სატ- ...

[illegible]

გაუპარსავი და ძონძებში ჩაცმული გერმანელები უფრო მაწანწალებს მოგვაგონებენ, ვიდრე რეგულარული არმიის ჯარისკაცებს. 30-ე ქვეითი დივიზიის 46-ე პოლკის ტყვე ეფრეიტორი რ. კლიაუსი ამბობს: „რუსეთის ცივი ზამთარი უფრო საშინელი აღმოჩნდა, ვინემ ჩვენ გვეგონა. თბილი ტანსაცმელი ჩვენ არა გვაქვს. სიცივისაგან ვიყინებით. უკვე მეორე თვეა არ გამოგვიცვლია თეთრეული, არ დაგვიბანია, ტილები გვჭამს, მუნი ...

[illegible]

შვება. ჩვენს ასეულში ბევრია რეზერვისტი და ყველა ისინი ასევე ფიქრობენ“.

* * *

კიროვის ოლქის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია თავდადებული შრომით ეხმარებიან წითელ არმიას გერმანელ დამპყრობთა განადგურებაში. ქარხანა „კიროვსკი მეტალისტის“ კოლექტივმა ოქტომბრის გეგმას 20 პროცენტით გადააჭარბა. № საწარმოოს დირექტორმა ...

[illegible]

დაიღუპა,—ამბობს კარსტელი. — არ ვიცი თუ რის გულისათვის დაიღუპნენ ისინი, რისთვის ვიბრძვი მე. მე ვნახე დანგრეული ქალაქები და ცეცხლწაკიდებული სოფლები. ათასობით ადამიანი დარჩა უსახლკაროდ, მათ დაჰკარგეს ქონება. ჩვენ, გერმანელ მუშებსა და გლეხებს ეს ომი არ გვესაჭიროება, ვინაიდან არც ერთი ჩვენთაგანისათვის მას არ მოაქვს ...

[illegible]

... ჩაბარების მხრივ. კოლმეურნეები ისწრაფვიან, რათა დაეხმარონ წითელ არმიას, რითაც კი შეუძლიათ. კილმეზის რაიონის კოსტილევსკის კოლმეურნეობის მოხუცმა წევრებმა გადაამუშავეს 500 ცხვრის ტყავი წითელი არმიის მებრძოლებისათვის ქურქის შესაკერავად.

15 ნოემბრის საღამოს ცნობა

[illegible]

დღის ბრძოლის დროს მოსპეს 2.500-მდე იტალიელი ჯარისკაცი და ხელთ იგდეს 15 დაზგის ტყვიამფრქვევი, ბევრი შაშხანა, ვაზნა და ხელყუმბარა.

* * *

პარტიზანული რაზმები, რომლებიც ლენინგრადის ოლქის ოკუპირებულ რაიონებში მოქმედებენ, საგრძნობ ზარალს აყენებენ ფაშისტებს. მარტო 4 დღის განმავლობაში, 6-დან 10 ნოემბრამდე, პარტიზანებმა მოჰ- ...

[illegible]

... ტიზანებმა ხელთ იგდეს 2 დაზგის ტყვიამფრქვევი, 6 ავტომატი, რევოლვერები და დიდძალი ვაზნა.

* * *

საწარმოებში საბოტაჟისა და დივერსიების აქტების გაძლიერების შედეგად, ჩეხოსლოვაკიაში განუწყვეტლივ მცირდება გერმანიის არმიისათვის საჭირო საჭურვლის გამოშვება. პლზენის შკოდის საწარმოებმა და კარლოვის გრადეკის საწარმოებმა ოქტომბერში გაცილებით ნაკლები პრო- ...

[illegible]

ამხ. ბონდარენკოს ჯარის ნაწილის მეზენიტეებმა, რომლებიც ამხ. გორშკოვის მებრძოლებთან ერთად მოქმედებენ, გერმანელთა 3 თვითმფრინავი ჩამოაგდეს და პირდაპირი დამიზნებით მოსპეს მტრის 26 ტანკი.

ამხ. შევერდინისა და ბრასლავეცის ქვეგანაყოფებმა, რომლებიც სამხრეთის ფრონტზე მოქმედებენ, 2 ...

... რაზმმა დაზვერა მტრის შორმსროლელი ქვემეხების ადგილსამყოფელი და ეს ამბავი ჩვენს ჯარის ნაწილებს აცნობა. ჩვენმა არტილერიამ მტრის ქვემეხები მოსპო. სადგურ წ-ს რაიონში ჩასაფრებულმა პარტიზანებმა გაჰფანტეს მტრის ქვეითი ჯარის კოლონა. ბრძოლის შედეგად მოკლული და დაჭრილია 70-მდე ფაშისტი. პარ- ...

... აწყობენ, სილას ჰყრიან ვაგონის ბუქსებში და მწყობრიდან გამოჰყავთ ორთქლმავლები. რაკოვნიკის სადგურზე გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააპატიმრეს რკინიგზის რამდენიმე მუშა და მოსამსახურე, რომლებზედაც ეჭვი აქვთ მიტანილი, რომ მათ განზრახ ჩაშალეს მატარებლების მოძრაობა.

მოსკოვთან ჩამოგდებულია გერმანელთა 31 თვითმფრინავი

გერმანელმა მფრინავებმა ისარგებლეს ამინდის გაუმჯობესებით და გუშინ რამდენჯერმე სცადეს მასობრივი თავდასხმა მოეწყოთ მოსკოვზე. დაახლოებით 13 საათზე დედაქალაქისაკენ გამოჭრას ცდილობდა ფაშისტთა რამდენიმე ათეული თვითმფრინავი. ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა და საზენიტო ბატარეებმა გაჰფანტეს ჰიტლერელი თავდამსხმელები და სერიოზული ზარალი მიაყენეს მათ. გამოჭრილ თვითმფრინავებთან ხანმოკლე საჰაერო ბრძოლა უშუალოდ მოსკოვის თავზე მოხდა.

დაბინდებისას გერმანიის ავიაციამ განიმეორა თავდასხმა. ამ თავდასხმაში მტრის რამდენიმე ათეული თვითმფრინავი იღებდა მონაწილეობას; ეს თავდასხმაც ფაშისტებისათვის ისეთივე უნუგეშო შედეგით დამთავრდა.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელთა ბომბდამშენებს ავიაგამანადგურებლები ახლდათ. მაგრამ ამან ვერ იხსნა ისინი განადგურებისაგან. მარტო მეთაურ კიკნაძის საზენიტო ნაწილმა პირველი თავდასხმის დროს ჩამოაგდო მტრის ორი მანქანა, მათ შორის გამანადგურებელი „მესერშმიტი“, რომელსაც ბომბოსანი უნდა დაეცვა.

აი ტყის პირას გამანადგურებლის ნამტვრევები ჰყრია. ყუმბარების პირდაპირმა მოხვედრამ დაანგრია მოტორი და კაბინი. მოტორი ას მეტრზე გდია დამსხვრეულ ფიუზელაჟთან, რომლის ბაქანზედაც გამოხატულია საჰაერო ბანდიტის სახელობითი პირადი ნიშანი—გარეული ღორი. დამტვრეულ ფრთასთან გდია საჰაერო მეკობრის გვამი. იგი დაიღუპა, როდესაც ცდილობდა გადარჩენილიყო პარაშუტით, რომელმაც ჰაერში

უღალატა. საცოდავი სანახავია „ასს“ — მძარცველი: მას დახეული ქსოვილის ჩექმა აცვია, რომელსაც რეზინის ლანჩა აქვს, მოქალაქის საკერებლიანი შარვალი, ქალის ჟუჟყიანი კოფთა, პერანგის ნაცვლად, პერანგზე ქალის სვიტერი და თხელი ტყავის ქურთუკი. თვითმფრინავის გარშემო თავი მოუყრიათ ადგილობრივ მცხოვრებთ.

— გავწვალდი დღევანდელ ვახტზე, — სჩივის წითელარმიელი, რომელიც თვითმფრინავს სდარაჯობს, — კოლმეურნე ქალები მოდიან და აფურთხებენ გერმანელს. სულ ფურთხით არის მოსვრილი! ჯერ ვედავებოდი ქალებს: სახაზინო ქონებაა მეთქი, შემდეგ ხელი ჩავიქნიე და თვითონაც მივაფურთხე არამზადას.

(„პრავდა“, 1941 წლის 15 ნოემბერი).

უცხოელ კორესპონდენტთა მორიგ პრეს-კონფერენციაზე

15 ნოემბერს შესდგა უცხოელ კორესპონდენტთა მორიგი პრეს-კონფერენცია, რომელზედაც საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს უფროსის მოადგილემ ამხ. ს. ა. ლოზოვსკიმ გამოაქვეყნა სამხრეთის ფრონტზე მყოფი ინფორმბიუროს კორესპონდენტებისაგან მიღებული დეპეშები. ერთერთ დეპეშაში მოყვანილია ჩვენება მე-14 ...

[illegible]

... რაღდა და ქუჩაში მდგომ იტალიელ ჯარისკაცთა ჯგუფს მიუახლოვდა. ნორჩმა პატრიოტებმა დაიწყეს სიმღერა, ცეკვა და როდესაც მათ გარშემო ფაშისტთა დიდი ჯგუფი შეგროვდა, ისინი სწრაფად გაჰქნენ განზე და რამდენიმე ხელყუმბარა ისროლეს. მოკლულია 9 ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი. პიონერთა მოქმედე- ...

[illegible]

... ასოშიეიტედ ნიგრო პრესის კორესპონდენტი ბ-ნ ჰომერ სმიტი შეეკითხა—დასტურდება, თუ არა ცნობები, რომ გერმანელები და რუმინელები უპატივცემულობას და ვანდალიზმის აქტებს მიმართავენ იმ ობიექტების წინააღმდეგ, რომლებიც დაკავშირებულია დიდი რუსი პოეტის პუშკინის ხსოვნასთან.

[illegible]

სამამულო ომიანობის დროის სტახანოველთა რიგები

სამამულო ომის მრისხანე ვითარებაში შესრულდა ექვსი წელი მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანას გრიგალივით მოედო დიადი სტახანოვური მოძრაობა. ექვსი წლის წინათ, სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე თავის სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა გენიალური შორსმჭვრეტელობით დაახასიათა სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობა, მისი ფესვები, ახალი ადამიანები, ახალი ტექნიკური ნორმები და განსაზღვრა უახლოესი ამოცანები, რომელთა განხორციელებამ უაღრესად გაშალა ეს დიადი მოძრაობა, დაგვანახვა ახალ მიღწევათა ხასწაულები.

გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ ომის დღეებში სტახანოვური მოძრაობა უდიდესი ძალით გაიშალა. სოციალისტური მშენებლობის უაღრესად სასახელო ფურცელმა — ...

[illegible]

სტახანოველები და სტახანოველი ქალები. საბჭოთა საქართველოს მშრომელები, მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად, გაათკეცებული ენერგიით იბრძვიან, რათა ყველაფერი გააკეთონ ფრონტისათვის. მარტო ერთ, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას 500-ზე მეტი ორასოვანი ჰყავს. ორ-ორ ნორმაზე მეტს ასრულებენ ზესტაფონის ფერო-შენადნობთა ქარხნის სტახანოველები ამხ. ჭ. ჩიტორელიძე, ი. პირველაშვილი და სხვ. 26 კომისრის სახელობის თბილისის ქარხნის სტახანოველი მჭედელი ამხ. ვ. კორძაძე დავალებას 450 პროცენტით ასრულებს. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ამხ. ილია ჭუმბურიძე სამასოვანია. ასევე შრომითი თავდადების მაგალითებს იძლევიან კოლმეურნეები. რეკორდსმენები ამხ. ...

[illegible]

საბჭოთა ხალხის ეს ერთსულოვანი გადაწყვეტილება გამოხატა ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავზე და სიტყვაში წითელი არმიის პარადზე მოსკოვში 1941 წლის 7 ნოემბერს. ხალხთა ბრძენი ბელადის სიტყვები გაისმა, როგორც მოწოდების ზარი ფაშიზმის წინააღმდეგ ახალი ძალით საბრძოლველად, როგორც უდიდესი დამამტკიცებელი არგუმენტი, რომ ფაშიზმის კრახი გარდუვალია, რომ „კიდევ რამდენიმე თვე, კიდევ ნახევარი წელიწადი, შეიძლება ერთი წელიც,— და ჰიტლერის გერმანია თავის დანაშაულთა სიმძიმე გასრესს“.

ამ უდიდესი ამოცანის განსახორციელებლად საჭიროა მთელი ძალების მობილიზაცია, მთელი ჩვენი ქვეყნის აქტიური დახმარება წითელი არმიისადმი. „...საჭიროა, — სთქვა ამხა- ...

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავჟლიტოთ უკლებლივ ყველა გერმანელი ოკუპანტი!

მტერმა დიდი ზარალი ნახა

ჩრდილოეთის ფრონტი, 14 ნოემბერი (საქდესის სპეციალური კორესპონდენტი) ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გერმანია-ფინეთის სარდლობამ ნოემბრის დამდეგს კვლავ დაიწყო შემოტევა კესტენგსკის ფრონტის მიმართულებით. შემოტევის დაწყებამდე ამ ფრონტზე თავი მოუყარეს ჯარის ნაწილებს სხვა უბნებიდან. ერთი პოლკი, როგორც ტყვეებმა დაკითხვის დროს გვიჩვენეს, გერმანელებმა ნორვეგიიდან გადმოიყვანეს და მაშინვე საბრძოლველად გაჰგზავნეს.

თავდაპირველად მოწინააღმდეგემ მთავარი იერიში მიიტანა იმ პოზიციების წინააღმდეგ, რომლებიც მეთაურ პავლიუშენკოს ქვეგანაყოფს ეკავა. შემოტევას ეხმარებოდა ტანკები და ძლიერი საარტილერიო ცეცხლი. მაგრამ ფაშისტები აქ გადამწყვეტ წინააღმდეგობას წააწყდნენ და, ვერ მიაღწიეს რა ვერავითარ წარმატებას, დაიწყეს თავდაცვის უფრო სუსტი უბნების ძებნა. დიდი ზარალის ფასად რამდენიმე ჯგუფმა მოახერხა შემოჭრილიყო ორ ქვეგანაყოფის შესაფარში და გასულიყო გზატკეცილზე, რომელიც მიდის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტისაკენ. ეს მანევრი მყისვე გამოიცნეს ჩვენმა მეთაურებმა. მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის გააფთრებული იერიშები და კონტრშეტევაზე გადავიდნენ.

მტერს ფლანგებიდან გამანადგურებელი ჯვარედინი ცეცხლი დაუშინეს პავლიუშენკოსა და პრიჩკინის ქვეგანაყოფებმა. არტილერისტებმა მოსპეს ფაშისტთა ბევრი ტანკი, რამდენიმე ქვემეხი და ნაღმსატყორცნი ბატარია. გათავხედებულ მტერს სულ უფრო-დაუფრო მჭიდროდ, ფოლადისებურ ნახევარრკალად ერტყმოდნენ გარს ჩვენი ჯარები. თავზარდაცემულმა ფაშისტებმა სწრაფად იწყეს უკანდახევა, რათა თავი დაეღწიათ ტომარისაგან, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ. მათ ყველგან გმირავდა საბჭოთა ტყვია, ყუმბარა, ხიშტი. მიწა მოიფინა ფაშისტ დამპყრობთა ათასობით გვამით.

ერთდროულად პირველი დღიდანვე გააფთრებული ბრძოლა სწარმოებდა ორივე ფრთაზე. ჩვენი თავდაცვის მარჯვენა ფრთაზე გერმანული დივიზია „ნორდის“ ორი ბატალიონი ცდილობდა ზურგში მოქცეოდა მეთაურ პრიჩკინის ქვეგანაყოფს. ისინი აქ შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ და ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწიეს წინ. მეორე ფრთაზე მტერმა გამოიყენა თავისი რიცხვობრივი უპირატესობა და ის იყო რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავა, მაგრამ მეთაურ რაძიკევიჩის ქვეგანაყოფმა მამაცი მანევრით გარეკა გერმანელები თავდაცვის წინანდელი ზღუდიდან. ფაშისტებს წინსვლის ყოველი ცდა უდიდეს მსხვერპლად უჯდებათ. წითელარმიელები მათ გამანადგურებელ ლახვარს სცემენ. რამდენიმე დასახლებული პუნქტი 10 დღის განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში. გერმანია-ფინეთის ჯარმა აქ მარტო მოკლულთა სახით ამ ხნის განმავლობაში დაჰკარგა 5.000 კაცი. ტყვეების ჩვენებით, ჯარის მთელ რიგ ნაწილებში დარჩა პირადი შემადგენლობის არა უმეტეს 50 პროცენტისა. ჯარისკაცთა შორის ბევრია დამზრალი. გერმანელი და ფინელი ჯარისკაცები ცუდად არიან ჩაცმულნი. ზოგიერთს ფარაჯაც კი არა აქვს.

გააფთრებული ბრძოლა გრძელდება. ჩვენი ნაწილები კონტრშეტევებს ანვითარებენ. მტერს დიდი ზარალი მოსდის.

ი. ლაპუნოგოვი

კალინინის მიმართულებით მედგარი ბრძოლები გრძელდება

კალინინის მიმართულება, 12 ნოემბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მტერთან ოთხი დღის წინათ ჩვენი თავდაცვის მარცხენა ფლანგზე დაწყებული მედგარი ბრძოლა შეუნელებელი ძალით გრძელდება. მტერმა გააფთრებული შეტაკების შემდეგ დაიკავა რამდენიმე სოფელი, ამასთან დიდი ზარალი ნახა და განუწყვეტლივ იშველიებს რეზერვებს, ბრძოლაში გამოჰყავს სულ ახალ-ახალი ნაწილები და ყოველგვარი საშუალებით ცდილობს გამოვიდეს მის მიერ დაპყრობილი ს. პუნქტიდან გზატკეცილის გასწვრივ, ჩრდილოეთ-დასავლეთით.

მეთაურ ვოსტრუხოვის მებრძოლები მტკიცედ იგერიებენ მტრის გააფთრებულ იერიშებს, ხოლო ზოგიერთ ადგილას შემოჭრილი მტრის მოსპობის მიზნით კონტრშეტევაზე გადავიდნენ. მედგარ ბრძოლებში მეთაურ სმირნოვის ჯარის ნაწილმა 9 ნოემბერს საღამოსათვის დაიკავა ორი დასახლებული პუნქტი. ამხანაგ სმირნოვის მებრძოლები დილიდანვე განაგრძობდნენ თავისი წარმატების განვითარებას და 12 საათისათვის დაიკავეს სოფელი გ. და ო. ბრძოლაში გავიდნენ ჩვენი ტანკები. მედგარი ბრძოლებია პუნქტ ზ-ს რაიონში. ჩვენი ჯარის ნაწილები გარს ერტყმიან მას სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. გერმანელებმა 10 ნოემბერს შუადღემდე ამ რაიონში დაჰკარგეს 200 ჯარისკაცი მოკლულთა სახით.

მეორე უბანზე ჩვენმა ჯარის ნაწილებმა იერიში მიიტანეს სოფელ ე-ში დაბანაკებულ მტერზე. გერმანელებმა აქ მედგარი წინააღმდეგობა გასწიეს. საარტილერიო ცეცხლით ამ ბრძოლაში ჩვენ მოვსპეთ გერმანიის 20 ავტომანქანა, ნაღმსატყორცნი ბატარია, მწყობრიდან გამოვიყვანეთ ერთი ტანკი და გავფანტეთ ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

მარცხენა ფლანგზე მტერი ცდილობდა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე, მაგრამ გრიგალისებრ ცეცხლს წააწყდა და უკან დაიხია. დილით კალინინის რაიონში ფაშისტებმა, რომელსაც ეხმარებოდნენ ტანკები და ძლიერი ნაღმსატყორცნო და სატყვიამფრქვევო ცეცხლი, იერიში მოიტანეს ჩვენი ჯარის ნაწილებზე და შუადღისათვის დაიკავეს პუნქტი ა. და პ., მაგრამ ჩვენი კონტრიერიშების შედეგად ისინი განდევნილ იქნენ ამ პუნქტებიდან და უკუგდებულ არიან თავდაპირველ პოზიციებისაკენ. ამასთან მტერმა დიდი ზარალი ნახა.

მედგარი ბრძოლა გაჩაღდა ს-ს რაიონში. 8 ნოემბრის განმავლობაში და 9 ნოემბერს შუადღემდე წითელი არმიის ნაწილები განაგრძობდნენ გააფთრებულ ბრძოლას მტერთან, რომელიც წინა დღით სოლივით შემოიჭრა ამ რაიონში. გერმანელებმა ტანკებით გააძლიერეს აქ მოქმედი თავიანთი ქვეითი დაჯგუფება და ცდილობდნენ შემოტიათ ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, მაგრამ ყველგან მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

მარტო ერთ ბრძოლაში ამ უბანზე გერმანელებმა მოკლულთა სახით დაჰკარგეს 200 ჯარისკაცი და ოფიცერი. 102-ე ქვეითი დივიზიის 235-ე ქვეითი პოლკის მე-5 ასეულის ტყვედ წამოყვანილმა ჯარისკაცმა რაინჰოლდ მარტენმა უჩვენა, რომ მის ასეულში 180 კაცის ნაცვლად არის მხოლოდ 90 კაცი, ხოლო 6 ნოემბერს ბრძოლის დროს ს-ს რაიონში მოკლულ და დაჭრილ იქნა ამ შემადგენლობის დაახლოებით ნახევარი.

— ჩვენს ასეულს,—ამბობს მარტენი,—12 დღეა რაც ზედიზედ არ მიუღია ცხელი საჭმელი, სამ ჯარისკაცს 600 გრამ პურს აძლევენ, პაპიროსს სრულებით არ იძლევიან, თეთრეული არ არის. ასეთ პირობებში ომი შეუძლებელია!

* * *

საბრძოლო საქმეებით უპასუხებენ კალინინის ფრონტის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები ამხანაგ სტალინის მოხსენებასა და სიტყვას. ამხ. ფედორჩენკოს ჯარის ნაწილში ინსტრუქტორ-პროპაგანდისტი ამხ. ტიურინი გაუძღვა მებრძოლებს იერიშში და მოსპო 5 ფაშისტი. მეავტომატეთა ჯგუფი კომკავშირელ ამხ. გორენკოს მეთაურობით მტერს ზურგში მოექცა, სროლა აუტეხა გერმანელთა პოლკის შტაბს და მოსპო 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ი. დენენბერგი

კალინინის რაიონში ბრძოლის ერთი თვე

კალინინის მიმართულება, 14 ნოემბერი (საქდესის სპეცკორესპონდენტი). უკვე მეორე თვეა, რაც ქალაქი კალინინი და მისი მომიჯნავე ადგილები გერმანელი ფაშისტი ურდოების წინააღმდეგ დაძაბული სისხლისმღვრელი ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენენ. ჰიტლერულმა სარდლობამ, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა კალინინის პლაცდარმს, ამ ფრონტზე თავი მოუყარა მოტორიზებული ქვეითი ჯარის, არტილერიის, ტანკებისა და ავიაციის მნიშვნელოვან რაოდენობას. იგი ჰფიქრობდა, რომ ერთი მოკლე დარტყმით დასძლევდა ჩვენს თავდაცვას, მაგრამ წითელი არმიის ნაწილების გმირულ წინააღმდეგობას წააწყდა.

მას შემდეგ, რაც ქალაქ კალინინის წინააღმდეგ გამოყვანილ იქნა თავით ფეხებამდე შეიარაღებული რამდენიმე დივიზია, ტანკები, ავიაცია, გერმანელებმა კოლოსალური ზარალის ფასად შესძლეს რამდენადმე შევიწროებათ ჩვენი ჯარის ნაწილები. ჩვენმა ჯარის ნაწილებმა დაიხიეს ახალ ზღუდეებზე და უკვე თითქმის ერთი თვეა, რაც მტკიცედ ინარჩუნებენ თავდაცვის ხაზს და ჰქანცავენ მტერს შეუკავებელი და მამაცი კონტრიერიშებით, ერეკებიან მას მთელი რიგი დასახლებული პუნქტიდან.

მტერი, რომელიც ასეთ შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა, იძულებული გახდა თავის უბანზე თავდაცვაზე გადასულიყო. ახლა ფაშისტური სარდლობა კალინინის რაიონში თავს უყრის დიდ ძალებს, აწარმოებს თავისი ჯარების გადაჯგუფებას და გაძლიერებულ დაზვერვას ეწევა. თითქმის მთელ ფრონტზე მტერმა ააგო ძლიერ გამაგრებული თავდაცვითი ნაგებობანი საველე ტიპისა ბევრი ტანკი მტერმა თავდაცვის წინა კიდეზე გამოიყვანა და მიწაში ჩაფლა. ფაშისტები გამაგრდნენ ქალაქის ქვის შენობებში, დანაღმეს და ბარიკადები მოაწყეს ქუჩებში და მოედნებზე. ამის მიუხედავად, მეთაურ ხომენკოს, ტელკოვის, გორიაჩევისა და შევცოვის ჯარის ნაწილებმა გერმანელები განდევნეს კალინინის მრავალი უბნიდან და ბრძოლას ეწევიან ქალაქის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილებში.

ფაშისტებმა გზატკეცილზე გამოიყვანეს ტანკები და მოტოქვეითი ჯარი და ცდილობდნენ ერთბაშად ხელთ იგდოთ დასახლებული პუნქტი მარინო, შეექმნათ საფრთხე ტორჟოკისათვის და მოეწყვიტათ ჩრდილოეთ-დასავლეთი ფრონტი მოსკოვისათვის. გერმანიის კოლონების შესახვედრად გავიდნენ ჩვენი მსროლელი ჯარის ნაწილები. გზატკეცილზე მომავალი გერმანელების მარცხნივ კიდევ ერთი ჩვენი ჯარის ნაწილი გამოჩნდა, ხოლო როდესაც მტერი მარინოს უახლოვდებოდა, მის მარჯვენა მხარეს წინ წამოიწია ჩვენმა ახალმა ქვეგანაყოფმა. ამგვარად გერმანელები მარწუხში მოექცნენ. სამი მხრიდან ერთდროული დარტყმით ჩვენი ჯარის ნაწილებმა აიძულეს მტერი ბრძოლა დაეწყო; გარშემორტყმული ბანდა ცდილობდა სხვადასხვა მხრიდან თავი დაეღწია ამ მდგომარეობიდან, მაგრამ ვერ შესძლო. მხოლოდ მეავტომატეთა ცალკეულმა ჯგუფებმა შესძლეს თავი დაეღწიათ მჭიდრო ნახევარრკალიდან. ამ ბრძოლის დროს გერმანელებმა დაჰკარგეს 12 ტანკი, და 500-მდე კაცი მოკლულთა სახით. ჩვენებმა ხელთ იგდეს 200 მოტოციკლი.

კალინინისათვის ბრძოლის პროცესში მებრძოლები გვიჩვენებენ სამხედრო ფიცის მამაცურად შესრულების ნიმუშებს. სერჟანტი ბაერტუევი შეუბრალებლად სპობს თავისი გუნდით ფაშისტთა საცეცხლე წერტებს და მტრის მეავტომატეებს. ერთ-ერთი ცხარე ბრძოლის დროს მთელი მისი გუნდი მწყობრიდან გამოვიდა. მამაც მეტყვიამფრქვევეს მარტო გადაჰქონდა თავისი ტყვიამფრქვევი ერთი საცეცხლე პოზიციიდან მეორეზე. ბაერტუევის ტყვიამფრქვევის ცეცხლმა საშუალება მისცა ჩვენს ასეულს წინ წაეწია და ქალაქ კალინინის 3 უბანი დაეკავებინა.

ამხ. შევცოვის ნაწილმა ქუჩებში წარმოებული ცხარე ბრძოლის შემდეგ განდევნა მტერი ქალაქის ჩრდილოეთ-დასავლეთი ნაწილიდან, ამასთან ხელთ იგდო ერთი მძიმე და 3 მსუბუქი ტანკი, 7 ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსტყორცნი და რამდენიმე მოტოციკლი.

თავგანწირვით ასრულებენ თავის საბრძოლო დავალებებს მეთაურ რადჩენკოსა და ინოზემცევის ბატარიების არტილერისტები. ისინი წარმატებით ანადგურებენ მტრის საცეცხლე წერტებს და გზას უკაფავენ ქვეითს ჯარს ქუჩებში გამართული ბრძოლის რთულ პირობებში. წითელარმიელი დეზერი დაზვერვაში ყოფნის დროს შეიპარა მტრის განლაგებაში, მან ხიშტით მოკლა ორი ფაშისტი, ხოლო მესამე დასჭრა, მოიტაცა ხელის 2 ტყვიამფრქვევი და ქვეგანაყოფში მოიტანა. განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდა ის ბატალიონი, რომელსაც ლეიტენანტი ჩაიკოვსკი მეთაურობს. კალინინთან 4 დღის განმავლობაში წარმოებული ბრძოლის დროს ჩაიკოვსკის მებრძოლებმა დააზიანეს 2 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 8 ავტომანქანა, 4 ტანკსაწინააღმდეგო და ერთი მძიმე ქვემეხი, ხელთ იგდეს 44 მოტოციკლი, საწვავი მასალით დატვირთული 4 ავტომანქანა და დიდძალი საომარი მასალა.

გააფთრებულ ბრძოლებში იქმნებიან ტანკების უშიშარი გამანადგურებლები. უმცროს ლეიტენანტ კრილოვის ოცეულმა განდევნა მტერი ერთი სოფლიდან და თავდაცვის ხაზი დაიკავა. ღამით ფაშისტებმა სიბნელით ისარგებლეს და ოცეულის წინააღმდეგ ტანკები გამოჰგზავნეს. კრილოვმა თავისი მებრძოლებითურთ გულდამშვიდებით მოუშვა მტრის ქვეითი ჯარი და ტანკები 20-30 მეტრ მანძილზე, ხოლო შემდეგ გრიგალისებური ცეცხლი გააჩაღა და პირდაპირ ესროდა ფაშისტებს. პანიკით მოცულმა მტერმა უკან დაიხია, რომლის დროსაც დაჰკარგა 3 ტანკი, 3 ჯავშნიანი მანქანა და დიდი ზარალი ნახა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. უმცროსმა ლეიტენანტმა შატუნოვმა იერიშის დროს ხიშტით მოკლა გერმანელი ოფიცერი და ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარით მწყობრიდან გამოიყვანა ფაშისტთა ტანკი.

მთელ ფრონტზე სახელი გაითქვეს უშიშარმა წითელარმიელებმა შტრუპკინმა და კოჟანოვმა. ეს მებრძოლები ტანკის კორპუსზე დასხდნენ, გერმანელთა ზურგში შეიჭრნენ და გაბედული თავდასხმა მოახდინეს მტერზე. ტანკის ეკიპაჟი ლეიტენანტ მოსიაგინის მეთაურობით გზაში ხვდებოდა მტრის საცეცხლე პუნქტებსა და მისი ქვეითი ჯარის ჯგუფებს, რომლებსაც თავის ტყვიამფრქვევებსა და ზარბაზანს უშენდა. შტრუპკინი და კოჟანოვი, რომლებიც ტანკის კორპუსზე ისხდნენ, ხელყუმბარებს აყრიდნენ გერმანელებს და ავტომატებს უშენდნენ მათ. ამ რეიდის დროს მამაცმა წითელარმიელებმა მოსპეს 100-ზე მეტი ფაშისტი ჯარისკაცი, პანიკა და არეულობა შეიტანეს მტრის ბანაკში.

ამხანაგ სტალინის მოწოდებით აღფრთოვანებულნი საბჭოთა მეომრები დაუნდობლად ანადგურებენ მტერს, რომელიც კალინინში გამაგრდა. ზემდეგმა გალინიშინმა გერმანელთა შემოტევის დროს თავისი შაშხანით 10 ფაშისტი მოკლა. წითელარმიელმა მაროკოვმა მიზანსწორი სროლით 18 გერმანელი ჯარისკაცი დააწვინა და უთანასწორო ბრძოლაში თვითონ გმირულად დაიღუპა. 9 ნოემბერს ბრძოლის დროს ლეიტენანტმა სერგეევმა პირადად მოსპო 10 ფაშისტი არამზადა.

ჩვენი არტილერიის ცეცხლი კოლოსალურ ზარალს აყენებს მტერს. ამხ. ბელიაკოვის ნაწილის სახელოვანმა არტილერისტებმა კალინინის რაიონში გამართული ბრძოლების დროს მოსპეს მტრის 38 ტანკი, 101 ავტომანქანა, 18 ქვემეხი, 32 ნაღმსატყორცნი, 90 ტყვიამფრქვევი, აეროდრომზე დაამსხვრიეს და ჰაერში დააზიანეს 119 თვითმფრინავი, ააფეთქეს საომარი მასალის 3 საწყობი, მოსპეს მტრის რამდენიმე გადასასვლელი და სამეთვალყურეო პუნქტი. არტილერისტებმა თავისი ზარბაზნებით მოსპეს 10 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და დასჭრეს სულ მცირე 6 ათასი კაცი. კალინინის აეროდრომზე მარტო ერთ-ერთი საარტილერიო თავდასხმის დროს დამსხვრეულ იქნა ფაშისტთა 30 თვითმფრინავი.

კალინინში გერმანელებს საქმე გაუჭირდათ. ჩვენი ტანკისტები გაიჭრნენ გზატკეცილზე, რომლითაც გერმანელებს ქალაქში მაშველი ძალები მიჰყავდათ, და განუწყვეტლივ აფერხებენ ფაშისტთა კოლონების მოძრაობას. სურსათისა და საჭურვლის გადასატანად მტერი ფართოდ იყენებს სატრანსპორტო თვითმფრინავებს „იუნკერს—52“. ჩვენი ავიაციის წარმატებითი მოქმედებანი ხშირად ჰფუშავენ ამ რეისებს. მარტო 11 ნოემბერს მტრის აეროდრომზე ერთი თავდასხმის დროს ოლენევის ნაწილის მფრინავებმა მოსპეს 4 სატრანსპორტო თვითმფრინავი. ამავე დღეს, ძლიერი თოვლისა და დაბალი ღრუბლიანობის მიუხედავად, ჩვენმა ავიაციამ დაამსხვრია 30-მდე დატვირთული ავტომანქანა და მოსპო 600 ქვეითი ჯარისკაცი. მოკლე პერიოდის განმავლობაში ამხანაგ ტრიფონოვის ნაწილის მფრინავებმა მოსპეს გერმანელთა 21 თვითმფრინავი, 75 ავტომანქანა და დაახლოებით 2 ათასი ქვეითი ჯარისკაცი.

კალინინის რაიონში ბრძოლა შეუსუსტებელი დაძაბვით სწარმოებს. უკანასკნელ დღეებში ეს ბრძოლა განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა ჩვენი თავდაცვის მარჯვენა ფრთაზე. ჩვენი ნაწილები გმირულად იგერიებენ მტრის გააფთრებულ იერიშს. მარტო ორი უკანასკნელი ბრძოლის დროს ფაშისტებმა აქ მოკლულთა სახით 400-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს.

ი. დენენბერგი

მდგომარეობა ფრონტის ყირიმის უბანზე

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

„კრასნაია ზვეზდას“ სპეც. კორესპონდენტი იუწყება შემდეგს ფრონტის ყირიმის უბანზე წარმოებული ბრძოლების შესახებ. ორი კვირის წინათ გერმანელებმა გაარღვიეს ჩვენი თავდაცვის ხაზი და ყირიმის ველზე გასვლით მათ შესაძლებლობა მიეცათ გაეძლიერებინათ შემოტევის ტემპი. მათ სწრაფად იწყეს წინსვლა მთებისაკენ და, როგორც ჩანს, ცდილობენ გარს შემოუარონ მთებს ორი მხრიდან — სევასტოპოლისა და ქერჩის მიმართულებებით. მტერმა მოახდინა მთელი ძალების მობილიზაცია და ცდილობს ჩვენი ჯარის ნაწილებს მოუჭრას სევასტოპოლისა და ქერჩის ყელისაკენ დასახევი გზა. მაგრამ ორივე ამ მიმართულებით იგი საგრძნობ დარტყმას შეხვდა და რამდენადმე შეანელა შეტევა. მაშინ გერმანიის სარდლობამ მოიყვანა რამდენიმე ახალი დივიზია და ყირიმში უკვე ჰყავს 9 ქვეითი და 2 მოტორიზებული დივიზია და 2 საკავალერიო ბრიგადა. მაშველი ძალები რომ მოუვიდა, მტერმა კვლავ შესძლო ჩვენი ჯარის ნაწილების შევიწროვება. ჩვენი ჯარების ერთი ჯგუფი ორგანიზებულად გადავიდა სევასტოპოლისაკენ, მეორე—ქერჩის ყელისაკენ, მესამე კი განაგრძობდა მნიშვნელოვანი გასასვლელების დაცვას მთებში. გერმანიის სარდლობამ სევასტოპოლისაკენ გაგზავნა 4 ქვეითი და 1 მოტორიზებული დივიზია, ხოლო ქერჩის ყელზე—5 ქვეითი და 2 მოტორიზებული დივიზია და 2 საკავალერიო ბრიგადა.

„ძლიერ თავდაცვას,—იუწყება „კრასნაია ზვეზდას“ სპეც. კორესპონდენტი,—გერმანელები წააწყდნენ სევასტოპოლის მიმართულებით. ქალაქიდან მრავალი კილომეტრის მანძილზე გადაჭიმულია ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებებითა და საიმედო სიმაგრეებით უხვად მოფენილი ზოლი. უკანასკნელი დღეების განმავლობაში მტერმა ათჯერ მაინც სცადა აქ იერიშის მოტანა ჩვენს თავდაცვაზე. მტრის ყველა იერიში მოვიგერიეთ. მტერი, რომელსაც დიდი ზარალი მოსდის, ერთ ადგილზეა გაჩერებული. უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ქერჩის მიმართულებით. ეყრდნობიან რა ჯავშანსატანკო მანქანებისა და თვითმფრინავების მნიშვნელოვან სიჭარბეს, ფაშისტები აქ უფრო წარმატებით აწარმოებენ შემოტევას. უდიდესი დანაკლისის ფასად, მრავალი ათეული თვითმფრინავის დახმარებით მათ ქერჩის ყელზე გაარღვიეს ჩვენი თავდაცვის ხაზი და ქერჩისაკენ გაემართნენ, მაგრამ მალე შეჩერებულ იქნენ“.

ამ დროებით წარმატებაზე დაყრდნობით გერმანელები ახლა ირწმუნებიან, რომ ყირიმი უკვე დამორჩილებული და ოკუპირებულია. „ნაადრევი სიხარულია!—სწერს ამის გამო „კრასნაია ზვეზდას“ სპეც. კორესპონდენტი,—არა, ყირიმი ჯერ კიდევ არ არის დამორჩილებული. წითელი არმიის ნაწილების ხელში ჯერ კიდევ დიდი ტერიტორიაა. შავი ზღვის საბჭოთა წყლებშია ჩვენი შავი ზღვის წითელი ფლოტი. იგი აქტიურ დახმარებას უწევს ჩვენს სახმელეთო ჯარებს, კვლავ გამანადგურებელ ლახვარს სცემს მტერს. ჩვენმა ჯარის ნაწილებმა დაიხიეს, მაგრამ შეინარჩუნეს თავისი ცოცხალი ძალა და ტექნიკა, თავისი ბრძოლისუნარიანობა და მზადყოფნა დაიცვან ყირიმი. ვითარება ყირიმში მეტად დაძაბულია. ამან კიდევ უფრო უნდა გაუძლიეროს წითელი არმიის მებრძოლებს მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევის სულისკვეთება“.

ვ. ყარა-მურზა

ნაღმტყორცნელი თენგიზ უზნაძე

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

გაზ. „იზვესტიას“ სპეციალურმა კორესპონდენტმა მოქმედ არმიაში ე. კრიგერმა ინახულა მოწინავე ხაზი ჩვენი ჯარებისა, რომლებიც მოქმედებენ ნარო-ფომინსკთან, მოსკოვიდან სამხრეთ-დასავლეთით. მან ერთი ღამე გაატარა იმ ბატალიონში, რომელსაც მეთაურობს უფროსი ლეიტენანტი გაირიანი, და დაესწრო ღამის ბრძოლას.

გერმანელები ბატალიონის შტაბიდან 1.300 მეტრზე იმყოფებოდნენ და ძაფსართავ-საქსოვი ფაბრიკის საცხოვრებელი სახლები ეჭირათ. მათ ესროდნენ ჩვენი ნაღმსატყორცნები.

„ბატალიონის ნაღმტყორცნელებს, — მოგვითხრობს ე. კრიგერი „იზვესტიას“ ფურცლებზე,—მტერი განუწყვეტელ დაძაბულობაში ჰყავთ. ერთი მათგანი ჩემს გვერდით არის, თბილისელი ახალგაზრდა თენგიზ უზნაძე. ნაზი სახე, გრძელი წამწამები, პირდაპირი, ხერხიანი გამომეტყველება. იგი კეთილი გულის იყო. ცხოვრება მის წინაშე გადაშლილი იყო ისე, როგორც თბილისის მოწმენდილი ლურჯი ცა. გერმანელებმა აიძულეს იგი სასტიკი გამხდარიყო. ახლა მხოლოდ ომია, ახლა მან იცის სიძულვილი.

როდესაც ბრძოლა მიწყნარდება, ჩვენ თავს ვაძლევთ ფუფუნების უფლებას, ვიგონებთ საქართველოს მხატვრებს, გენიალურ თვითნასწავლ ნიკო ფიროსმანიშვილს, რომელიც ოცნებობდა მთელი მსოფლიოს მხატვართა ძმობის შესახებ, ვიგონებთ მგზნებარე ქუთათელაძეს, ბრწყინვალე გუდიაშვილს. აქ, მოსკოვთან ბრძოლებში ნაღმტყორცნელი თენგიზი იცავს თავისი ხალხის ხელოვნებას, კულტურას, მშვიდობიან შრომას. 6 ნოემბერს ღამით, როდესაც დედა-ქალაქში გაისმა სტალინის სიტყვები, ნაღმსატყორცნთა ბატარიის გრიალში ისმოდა თენგიზის ხმა:

— ვურტყამთ სტალინურად!

ურტყამდნენ აგურის ყაზარმებს, ურტყამდნენ ხვრელებს, სადაც იმალებოდნენ გერმანელები, ურტყამდნენ სანგრებს, გასასვლელებს. 15 წუთში 360 ნაღმი გაისროლეს. გერმანელები იერიშზე გადმოსასვლელად ემზადებოდნენ, ისინი [illegible] ცივ, ყინვისაგან მოლიპულ მიწას.

თენგიზი იგონებს: მეორე ღამეს ბატარიამ დაიწყო სწრაფი სროლა, 10 ნაღმი 2 წუთში. 150 ჯარისკაცმა შეწყვიტა ლაყბობა იერიშის შესახებ. ისინი სამუდამოდ დააჩუმეს.

მთელი ღამე ესროდნენ მტერს ნაღმტყორცნელები, და მათთან ერთად თენგიზ უზნაძეც. უკვე 20 ასეთმა ღამემ გაიარა. 20 დღე-ღამეა აკავებენ მტერს ჩვენი მებრძოლები ნარო-ფომინსკთან. შედარებითი სიწყნარე, რომელიც აქ რამდენიმე დღეა დადგა, წინამორბედია ქარიშხალისა, იერიშისა, შეტევისა. მებრძოლებმა ეს იციან, ისინი მზად არიან მტრის შესახვედრად“.

ვ. ყარა-მურზა

მ. კალინინი

ვამზადოთ მტრისათვის გამანადგურებელი ლახვრის ჩაცემა

ძველ დროს მემატიანე საბჭოთა წყობილების არსებობის XXIV წელს დაარქმევდა შავბნელ წელიწადს ჩვენი ხალხისა და მთელი კაცობრიობისათვის. მაგრამ მთელ ისტორიაში ძნელია მოინახოს იმის ანალოგია, რაც ამჟამად ხდება. მონღოლთა შემოსევაც კი, მთელი თავისი გამანადგურებლობის მიუხედავად, უფრო ადამიანურ ხასიათს ატარებდა იმ ყოვლად გაუმართლებელ თავდასხმასთან შედარებით, რაც საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ მოაწყეს ფაშისტთა ურდოებმა, რომლების მტარვალობა და ვანდალიზმი უსაზღვროა. ფაშისტებმა, გამოიყენეს რა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევა, ჩვენს ქვეყანას შემოუსიეს თავისი შეჯავშნული ურდოები, ისინი ანგრევენ და სპობენ თავის გზაზე ყველა მატერიალურ ღირებულებას, ანადგურებენ ყოველსავე ცოცხალს. რა აბუჩად აგდებაა საღი გონებისა: მეცნიერება და გერმანელი ხალხის ორგანიზაციული უნარი ემსახურება ყველაზე რეაქციულ, ყველაზე ანტიხალხურ მიზნებს, მიმართულია იქითკენ, რომ ძირფესვიანად ჩაჰკლან ყოველივე, რაც კი პროგრესიულია კაცობრიობაში, რომ ხალხები ჩააგდონ გაჭირვებისა და მონობის უფსკრულში გერმანელ იმპერიალისტთა მსოფლიო ბატონობის სახელით.

უკვე მეხუთე თვეა ჩვენი ხალხი და მისი არმია თანგანწირულად ებრძვიან ყველა ხალხთა უბოროტეს მტერს თავისი აწმყოსა და მომავლისათვის, თავისი ბედნიერებისა და მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის.

სასტიკი ბრძოლების შემდეგ, რომლების დროსაც ჩვენი არმია არა მარტო უკან იხევდა, არამედ უაღრესად საგრძნობი დარტყმებითაც უპასუხებდა ჰიტლერელთა ბანდებს, ჰიტლერმა თავის ბრძანებაში აღმოსავლეთის ფრონტის ფაშისტური ჯარებისადმი 2 ოქტომბერს განაცხადა: „დღეს იწყება ამა წლის უკანასკნელი დიდი გადამწყვეტი ბრძოლა. ამ ბრძოლაში მოსპობილი იქნება ეს მტერი, ხოლო მასთან ერთად აგრეთვე ომის გამჩაღებელი — თვით ინგლისი“.

ჰიტლერის მთავარი მიზანი ამ შემოტევაში ის იყო, რომ ხელში ჩაეგდო მოსკოვი, იგი ვარაუდობდა ერთი დარტყმით ჩაეტარებინა ეს ოპერაცია. მაგრამ აი მოსკოვთან ბრძოლა უკვე თვეზე მეტია გრძელდება, და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჰიტლერის ეს გეგმა ჩაიშალა, ხოლო ფაშისტთა ჯარების ზარალი ამ ბრძოლებში უდიდესია.

ჩვენი წითელი არმია უდიდეს ზარალს აყენებს გერმანელთა ჯარებს, და წინსვლის ყოველი ნაბიჯი მათ დიდ დანაკლისად უჯდებათ. ყველაფერზე უფრო საგულისხმო კი ის არის, რომ ჩვენი ჯარების სიმტკიცე, სამხედრო ხელოვნება, მორალური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო ძლიერდება, ხოლო მორალური მდგომარეობა გერმანიის არმიებისა, რომლებიც წინ მოძვრებიან, სულ უფრო და უფრო ეცემა. და ეს ბუნებრივია: გერმანელ ჯარისკაცს ფაშისტური ზედაფენის გამდიდრებისა და ბატონობის მიზანი ხომ ვერ გაიტაცებს.

მოსკოვის მისადგომებზე ბრძოლებს ჯერ კიდევ არ გაუტეხია ფაშისტთა დივიზიების შეტევითი სულისკვეთება, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვნად შეარყია იგი. ჰიტლერი 3 ოქტომბერს რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში, ეხებოდა რა დაწყებულ ახალ გადამწყვეტ შეტევას, იძულებული გახდა განეცხადებინა, რომ იგი შესცდა საბჭოთა კავშირის ძლიერების შეფასებაში. მე ვფიქრობ, რომ ახლა, მას შემდეგ, რაც მოსკოვის მისადგომებზე ბრძოლები ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება, ბევრი ფაშისტი მესვეური ჩაფიქრდება, ეს შეცდომა საბედისწერო ხომ არ იყო ჩვენთვისო...

გერმანიის არმიის ჯარისკაცთა წერილებისა და ტყვეთა ჩვენების საერთო კილო გულგატეხილობისა და უიმედობის, უპერსპექტივობის ხასიათს ატარებს, ეს კი მოწმობს მორალურ დაცემას, მაშასადამე, სამხედრო დაცემულობას გერმანიის არმიაში. ცხადია, ჩვენ მხოლოდ ამაზე ვერ დავამყარებთ ჩვენი გამარჯვების რწმენას. გერმანიის სამხედრო მანქანას ჯერ კიდევ ბოჭავს დისციპლინა და მორჩილება; პროტესტის სული გერმანელ ჯარისკაცთა შორის ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ მჟღავნდება, მისი გამოვლინება თანდათან გაძლიერდება ულმობელი ბრძოლის პროცესში. იმ დარტყმების შედეგად, რომლებითაც ჩვენი წითელი არმია უპასუხებს მტერს.

ოქტომბრის რევოლუციის XXIV წლისთავის დიდი დღესასწაულისათვის ომმა მთელი თავისი მხარეები გადაგვიშალა. მტრის ძალები, მისი ტაქტიკა ცხადია ჩვენი სარდლობისათვის. გერმანიის არმიების ბრძოლის მეთოდები ახლა უკვე გასაგებია ჩვენი წითელარმიელებისა და მეთაურებისათვის, და მტრის ხერხებს ისინი საკმაოდ წარმატებით უპირდაპირებენ თავის ხერხებს. იზრდება ძალები და გამოცდილება პარტიზანებისა, რომლებიც ჩვენი რეგულარული ჯარების ძვირფასი თანაშემწენი არიან. მე დარწმუნებული ვარ, რომ წითელი არმია გააკეთებს ყველაფერს, რათა სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს მტერს.

უაღრესად პასუხსაგები ამოცანები ეკისრება ახლა ზურგს და ცხადია, პირველ რიგში ჩვენს მრეწველობას, მის ხელმძღვანელებს, მუშათა კლასს. გამარჯვების დაჩქარება სწყურია საბჭოთა კავშირის ყოველ მოქალაქეს და მთელი ძალღონით ცდილობს ხელი შეუწყოს ამას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ადამიანი სიხარულით დასთანხმდება შესწიროს თავისი სიცოცხლე ჩვენი გამარჯვების დაჩქარებას. მარტო ეს მზადყოფნა არ კმარა. საჭიროა, რომ იმ ადამიანებმა, რომლებიც მრეწველობას ხელმძღვანელობენ, რომლებიც მრეწველობაში მუშაობენ, თავის მხრივ გააკეთონ ყველაფერი, რათა წინ წასწიონ წარმოება, დაეხმარონ წარმოებას, დააჩქარონ ყოველივე იმის წარმოება, რაც საჭიროა ფრონტისათვის. ამ აზრით სავსებით გამსჭვალული უნდა იყვნენ წარმოების ხელმძღვანელები და მუშაკები. ეს კი იმაზე ნაკლებად ძნელი როდია, ვიდრე ბრძოლის ველზე თავის გაწირვა. საჭიროა, რომ ყოველ ქარხნის დირექტორს, ყოველ საამქროს უფროსს, ყოველ ოსტატს გული შესტკიოდეს წარმოების შედეგებისათვის, მოწყობილობის გამოყენების ეფექტიურობისათვის, რომ ხელმძღვანელებმა და მუშებმა დაივიწყონ დრო, სიმძიმე და სიძნელენი, რომ ისინი გამსჭვალულნი იყვნენ ერთი აზრით — მეტი ყუმბარები, მეტი იარაღი ფრონტს.

ომი დიდ მოთხოვნებს უყენებს სოფლის მეურნეობას, კოლმეურნეებს. მტერს საშინლად სძულს ჩვენი ქვეყნის გლეხობა. მტერს სურს წაართვას მას მიწა, სახლკარი, ოჯახი, რომ ზოგის ძვლებზე და ზოგის მონობაზე დაყრდნობით გერმანელი ფაშისტი მემამულეები სუქდებოდნენ.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია ომის დროს დიდ როლს თამაშობს. სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელებმა მთელი ძალღონე უნდა იხმარონ, რომ გვქონდეს მეტი პური, ბოსტნეული, მეცხოველეობის პროდუქტები, რომ ჩვენი არმია, მუშები, ქალაქების მოსახლეობა, ჩვენი ბავშვები უზრუნველყოფილი იყვნენ საკვები პროდუქტებით. ეს არის კოლმეურნე გლეხობის ნამდვილი აქტიური მონაწილეობა ფაშისტებთან ომში.

ჩვენს საბჭოთა ორგანოებს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ოლქებში, ახლა უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ფრონტის დასახმარებლად მუშაობისათვის. ჰოსპიტლების, საბავშვო სახლების მოწყობა, სამხედრო ორგანოებისათვის დახმარების გაწევა, ევაკუირებული მოსახლეობის საწარმოო და საყოფაცხოვრებო მოწყობა, ადგილობრივი მეურნეობის ყოველმხრივი განვითარება არმიის საჭიროებისათვის საბჭოთა მუშაკების ყოველდღიური საზრუნავი საგანი უნდა იყოს.

ამხანაგმა სტალინმა ამ ომს სამამულო ომი, მთელი ხალხის ომი უწოდა. ფაშისტთა ბანდები ვერ შესძლებენ დიდი საბჭოთა ხალხის დამარცხებას, რარიგ კარგადაც არ უნდა იყვნენ ისინი ორგანიზებულნი. ჩვენი გამარჯვებისათვის საჭიროა, რათა მთელი ხალხი, დიდით პატარამდე, დაძაბული იყოს და გრძნობდეს, რომ თვითეულის მუშაობა ბრძოლის ნაწილს წარმოადგენს.

ჩვენ გაბედულად უნდა გავუსწოროთ თვალი იმას, რომ მტერი ძლიერია, ჯიუტია, რომ იგი ანგარიშს არ უწევს თავის ჯარისკაცთა სისხლის ნაკადებად დაღვრას და ცდილობს წინ გამოიჭრას, ცდილობს დაახრჩოს დიდი თავისუფალი საბჭოთა ხალხი. მაგრამ ომმა დაგვანახვა, რომ ჩვენ შეგვიძლია არა მარტო გავუმკლავდეთ ამ მოწოლას, არამედ სასტიკი დარტყმებითაც ვუპასუხოთ მტერს. და ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ეს დარტყმები შეერთდეს საერთო ყოვლის გამანადგურებელ ლახვრად, რომელიც გაანადგურებს რკინასა და ფოლადში ჩამალულ ფაშისტთა ბანდებს.

(„იზვესტია“, 7 ნოემბერი).

ჩვენი ჯარის ნაწილების კონტრიერიშები

დასავლეთის ფრონტი, 14 ნოემბერი (საქდესის სპეცკორესპონდენტისაგან). უკანასკნელი ორი დღე აღინიშნა გააფთრებული ბრძოლებით ჩვენი ფრონტის მარცხენა და მარჯვენა ფლანგზე.

ბრძოლები მარცხენა ფლანგზე ყოველი საათობით მწვავდება. გერმანელები ცალკეულ ადგილებში შემოტევას განაგრძობენ და ბრძოლაში ახალ-ახალი ნაწილები გამოჰყავთ. ჩვენს ჯარებს წარმატებით მიაქვთ კონტრიერიში მტრის ძალებზე. გუშინ გერმანელთა მოტორიზებული ქვეითი ჯარის პოლკი, რომელსაც ტანკები ეხმარებოდა დიდი სისხლის ფასად გამოიჭრა ვ. პუნქტისაკენ და გაემართა შ-ს რაიონში. მეთაურ ზახარკინის ჯარებმა გზა გადაუღობეს მტერს. აქ ბრძოლა არა სწყდება და უფრო-დაუფრო მზარდი დაძაბულობით მიმდინარეობს.

სისხლისმღვრელი ბრძოლებია ქალაქ ს-ლ რაიონში, სადაც ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ შემოიჭრნენ გერმანელთა ტანკები. ჩვენი ჯარები 12 ნოემბერს დილაადრიანად ავიაციასთან ურთიერთმოქმედებით აქ კონტრშეტევაზე გადავიდნენ. განსაკუთრებული წარმატებით მიიტანა კონტრიერიში მტერზე მეთაურ გრუდინოვის ნაწილმა. იგი, თავისი ავიაციის დახმარებით სძლევდა გერმანელთა გააფთრებულ წინააღმდეგობას და დაიპყრო რამდენიმე დასახლებული პუნქტი და 12 ნოემბერს ნაშუადღევს გერმანელები გარეკა ქალაქ და სადგურ ს-ლ-დან. მეთაურ გრუდინოვის ნაწილმა გადასჭრა რკინიგზა და კავალერიასთან ურთიერთმოქმედებით გუშინ კვლავ ავითარებდა წარმატებას და მიიწევდა წინ ნ. პუნქტისაკენ. 13 ნოემბერს, დილით, მან დაიპყრო ეს პუნქტი და დამკვიდრდა იქ. მეორე მსროლელმა ნაწილმა დაიკავა სოფელი ქ. ამ პუნქტის ქუჩებში მტერმა დასტოვა 150-მდე მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი და დიდძალი სხვადასხვა იარაღი.

მტრის ყოველივე ცდა წამოწეულიყო წინ ტულის რაიონში უშედეგოდ დამთავრდა.

გუშინ მ-ს რაიონში ჩვენი ჯარების სწრაფი კონტრიერიშით მოსპობილ იქნა 500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ ვიგდეთ 2 ტანკი, 2 მძიმე ქვემეხი, 8 დაზგის და ხელის ტყვიამფრქვევი, 8 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 72 ავტომატი, 3 საზენიტო დანადგარი, ასამდე შაშხანა, 32 ათასი ვაზნა და მრავალი სხვა იარაღი და საომარი მასალა.

მოჟაისკისა და მალოიაროსლავეცის მიმართულებებზე ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ორივე მხარე არტილერიისა და ნაღმსატყორცნის გაცხარებულ სროლას აწარმოებდა. ჩვენი მებრძოლნი ამაგრებდნენ თავის ზღუდეებს და იმავდროულად მტრის მცირე ჯგუფების იერიშებს იგერიებდნენ. დ-ის რაიონში ჩვენმა სნაიპერებმა 18 ოფიცერი მოსპეს. მეორე ადგილას კიდევ მოსპობილ იქნა 68 ოფიცერი და ჯარისკაცი. ჩვენი ქვემეხების ცეცხლით პ-ს რაიონში გაფანტულ იქნა გერმანელთა ქვეითი ჯარის დიდი დაჯგუფება.

განსაკუთრებით დიდი ზარალი გერმანელებს მდინარე ნარაზე მოუვიდათ. მათ ყველა ცდას გადმოელახათ ეს მდინარე და გამაგრებულიყვნენ მის აღმოსავლეთ ნაპირზე, იგერიებდა საბჭოთა არტილერია. მარტო ერთმა ქვეგანაყოფმა, რომელიც ნარო-ფომინსკის რაიონში მოქმედებს, ამ უკანასკნელ ხანს მოსპო გერმანელთა 3 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მტრის 300 ავტომანქანა, 8 საარტილერიო, 15 ნაღმსატყორცნი და 15 სატყვიამფრქვევო ბატარია. გარდა ამისა, ჩვენ აქ ჩავახშეთ 8 საარტილერიო, 20 ნაღმსატყორცნი და 8 სატყვიამფრქვევო ბატარია.

ჩვენი ფრონტის სამხედრო-საჰაერო ძალებმა 12 და 13 ნოემბერს მოსპეს 14 თვითმფრინავი, 10 ტანკი, 80 ავტომანქანა, ააფეთქეს ბენზინის ჩასასხმელი სადგური, მწყობრიდან გამოიყვანეს 4 ქვემეხი და დახოცეს ორ ბატალიონზე მეტი მტრის ქვეითი ჯარი.

ი. გრიბოვი

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ინგლისისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირების შეთანხმება

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა სპეციალურ სხდომაზე, რომელიც ამ დღეებში შესდგა, მოისმინა საბჭოთა დელეგაციის მოხსენება ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირული კომიტეტის პირველი სესიის მუშაობის შესახებ და დაამტკიცა ინგლისისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირების შეთანხმება, რომელიც მიღებული იყო აღნიშნულ სესიაზე.

ეს შეთანხმება, რომელიც 8 მუხლს შეიცავს, სრულ თანამშრომლობას ამყარებს ინგლისის პროფმოძრაობასთან ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ომში ურთიერთდახმარების ორგანიზაციის საქმეში.

სტახანოველებო! შეუსვენებლივ ვიმუშაოთ საწარმოებში, კოლმეურნეობებში.—დავეხმაროთ ფრონტს!

პარტიული ორგანიზაცია და ორასოვანთა მოძრაობა

ორასოვანთა მოძრაობის ინიციატივა საქართველოში ჩვენს ქარხანას ეკუთვნის. ჯერ კიდევ სექტემბერში მოვიწვიეთ ქარხნის ორასოფან სტახანოველთა თათბირი. მაშინ ორასოვანთა რიცხვი ქარხანაში არა ან და ოთ. საქმიანი მსჯელობის შემდეგ დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუველყოფდნენ ორასოვანთა რიგების შეუფრთხილებელ ზრდას. თათბირის მონაწილეებმა მოწოდებით მიმართეს საქარხნოელთა საწარმოთა კოლექტივებს. მიმართვას მთელ რესპუბლიკაში დადო გამოძმობრივება პასუხი.

ჩვენი ინიციატივის ეს ბედნიერი შედეგი ნაყოფიერ ბრძოლაში ეფუძნებოდა ამ ინიციატივის ფართოდ გავრცელებას. ეს ინიციატივა

სსრ კავშირთან სოლიდარობის მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი (საკდესი). პრესის ცნობით, დეტროიტში შესდგა მიტინგი, რომელსაც 3 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი ენტუზიაზმით მიიღეს მისასალმებელი დეპეშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კალინინის სახელზე. მიჩიგანის შტატის გუბერნატორი ვან ვაგონერი მიტინგის მონაწილეებისათვის გაგზავნილ დეპეშაში აცხადებს: „ვაჟკაცური ბრძოლა, რასაც რუსეთი ჰიტლერის არმიების წინააღმდეგ ეწევა ჩვენი ბრძოლაც არის". გუბერნატორმა მოუწოდა ამერიკელებს მაქსიმალურად შესაძლო დახმარება აღმოუჩინონ სსრ კავშირს. მიტინგზე წაკითხული იქნა აგრეთვე ქალაქ დეტროიტის მერ ჯეფერსისაგან გამოგზავნილი დეპეშა.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ნორვეგიის კონსულმა ჰამბრომ, რომელმაც განაცხადა: „რუსეთი თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიის საუკეთესო სიმბოლოს წარმოადგენს".

გაზეთების ცნობით, ჩიკაგოს ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა წითელ არმიას და მთელ საბჭოთა ხალხს მისალმება გაუგზავნა, რომელშიც თავის აღტაცებას გამოსთქვამს, მათი გმირული ბრძოლის გამო.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავის აღსანიშნავად ბოსტონში შესდგა მიტინგი, რომელშიაც სხვადასხვა ორგანიზაციის 2 ათასზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. მიტინგის მონაწილეებმა საბჭოთა ხალხს მისალმება გაუგზავნეს.

როგორც გაზეთი „რუსკი გოლოსი" იუწყება, დეტროიტში შესდგა იქ მცხოვრებ სერბიელთა მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა სტალინის სახელზე მიიღეს მისალმება, რომელშიც აცხადებენ: „ამერიკაში მცხოვრები სერბიელები მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, წითელ არმიასა და მთელ საბჭოთა ხალხს. ჩვენ თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ სრულ გამარჯვებამდე. ჩვენ გადავწყვიტეთ გავგზავნოთ საბჭოთა კავშირში საველე ლაზარეთი და შევიტანოთ 3 ათასი დოლარი სსრ კავშირის დახმარების ფონდში. წითელი არმია გმირულად იბრძვის მთელი მსოფლიოს ყველა სლავი ხალხის ინტერესებისათვის.

გაზეთ „ნოვოე რუსკოე სლოვოს" ცნობით, გამოჩენილმა კომპოზიტორ-პიანისტმა რახმანინოვმა საბჭოთა კავშირისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფონდში 4 ათასი დოლარი შეიტანა.

გაზეთები იუწყებიან, რომ ერთ-ერთ კინოთეატრში დაიწყო საბჭოთა კინოფილმ „ჩკალოვის" დემონსტრაცია. მთელი შემოსავალი სსრ კავშირის დახმარების ფონდში იქნება შეტანილი.

საბჭოთა კავშირთან სოლიდარობა ინგლისში

ლონდონი, 14 ნოემბერი (საკდესი). სამხრეთ ინგლისში არსებული დიდი სამხედრო ქარხნის მუშებმა ზედმეტად ორ საათს იმუშავეს და ამაში კუთვნილი ხელფასი საბჭოთა კავშირის სამედიცინო დახმარების ფონდში შეიტანეს. მუშებმა მიიღეს აგრეთვე გადაწყვეტილება ერთხელ კიდევ იმუშაონ ზედმეტ საათებში და კვლავ შეიტანონ თანხა ამ ფონდში.

ბივერბრუკის წინადადება დაზგების გამოყენების შესახებ

ლონდონი. 11 ნოემბერს ინგლისის სამხედრო მომარაგების მინისტრ ბივერბრუკს თათბირი ჰქონდა იმ საწარმოთა წარმომადგენლებთან, რომლებიც დაზგებს იყენებენ. მათ მოიწონეს მისი წინადადება. ეს წინადადება მდგომარეობს იმაში, რომ ყველა დაზგა მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული სამხედრო მასალების წარმოებაში. ყველა ქარხანაში, სადაც დაზგებს ღამღამობით არ იყენებენ, შემოღებულ უნდა იქნას ღამის ცვლა. ყველა ფირმამ, რომელიც თავის დაზგებს არ იყენებს, უნდა ჩააბაროს ისინი. ყველა ფირმამ უნდა წარადგინოს ცნობები იმ დაზგების შესახებ, რომლებიც მას მოეპოვება. სპეციალურ კომიტეტს, რომლებიც კონტროლს უწევს დაზგების გამოყენებას, უფლება აქვს ჩამოართვას ქარხნებს დაზგები, თუ გამორკვეული იქნება, რომ ამ დაზგებს სრულად არ იყენებენ.

რელიგიის მოსპობის ნაცისტური გეგმა

ნიუ-იორკი. ამერიკულ ჟურნალ „ლაიფში" 10 ნოემბერს გამოქვეყნებულია ტექსტი რელიგიის მოსპობის იმ საიდუმლო ნაცისტური გეგმისა, რომელიც ამასწინათ მოიხსენია თავის განცხადებაში პრეზიდენტმა რუზველტმა. გეგმიდან გამომდინარეობს, რომ გერმანელ ფაშისტებს განზრახული აქვთ შექმნან გერმანიის იმპერიის ერთიანი ნაციონალური ეკლესია, რომელმაც ყველა დანარჩენი ეკლესია უნდა შესცვალოს. გეგმა ითვალისწინებს ბიბლიების გამოცემისა და სხვა ქვეყნებიდან შემოტანის აკრძალვას და სხვ.

შვეიცარიის პრესა რელიგიის მიმართ გერმანელი ფაშისტების პოლიტიკის შესახებ

სტამბოლი, 14 ნოემბერი (საკდესი). რუზველტის გამოსვლის შემდეგ შვეიცარიის პრესა დიდ ადგილს უთმობს ფაქტიურ მასალებს, რომლებიც ადასტურებენ გერმანელი ნაცისტების განზრახვას—მოსპონ ყველა რელიგია. ფრიბურგის გაზეთი „ლიბერტე" მოგვაგონებს, რომ ნაცისტური კულტურის გავრცელების ინსტიტუტის (დაარსებულია როზენბერგის მიერ) ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა შმიდტმა გამოუშვა წიგნაკი, რომელშიც წინადადებას იძლევა მოსპობილ იქნას ქრისტიანული რელიგია მთელს ევროპაში და შეიცვალოს იგი „რასისა და ხალხის ცნებაზე დაფუძნებული ახალი იდეოლოგიით". „ჟურნალ დე ჟენევი" იუწყება, რომ გერმანიაში არსებობენ ეგრეთწოდებული „გოტგლაიბიგეს" ჯგუფები, რომლებიც სცემენ თავის ორგანო „ნორდლანდს". ამ ჟურნალმა ახლახან გამოაქვეყნა თავისი კრედო, სადაც ამტკიცებს, რომ ჰიტლერისადმი მსახურება ღვთისმსახურებას წარმოადგენს. გაზეთი მოგვაგონებს აგრეთვე, რომ გერმანელმა ეპისკოპოსებმა 26 ივნისს მიიღეს მიმართვა მორწმუნეებისადმი, რომლებშიც პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიაში რამდენიმე ასეულ ათას ცალად გამოცემულ წიგნში გერმანელებს წინადადება ეძლევათ მოახდინონ არჩევანი—ქრისტე თუ გერმანია. გაზეთი აცხადებს, რომ გერმანიის 42 მილიონი პროტესტანტი და 32 მილიონი კათოლიკე წინააღმდეგობას გაუწევენ ნაცისტთა ცდას—მოსპონ რელიგია.

ანტიგერმანული გამოსვლები ნორვეგიაში

სტოკჰოლმი, 9 ნოემბერი (საკდესი). ჟურნალი „ეი ნუველი" იუწყება, რომ ამ უკანასკნელი 2 თვის განმავლობაში გერმანიის ხელისუფლებმა და კვისლინგელებმა დააპატიმრეს 150 სასოფლო საზოგადოების თავმჯდომარე და 100 მოქალაქე. გენეკრასში დაპატიმრებულია 30 მოქალაქე, რომელნიც ვითომ ჩარეული არიან ანტიფაშისტურ მოძრაობაში. ოლეზუნდში დიდად დაზიანდა სიმაგრეები. ამავე ქალაქში ხშირად იკარგებიან გერმანელი ჯარისკაცები. იკარგება მეთევზეთა ნავებიც, თუმცა მათ თვითმფრინავები და სამხედრო გემები იცავენ. მერის რაიონის 5 ათასი მეთევზე ინგლისს გაიქცა. თევზის ჭერა კატასტროფულად შემცირდა. მიუზენის სადგურზე ოსლოს ახლოს ხალხი თავს დაესხა მატარებელს, რომელშიც ფაშისტური ახალგაზრდობის მიტინგის მონაწილენი იყვნენ. ხელჩართული შეტაკების შედეგად, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პოლიციელები, მოკლულია ერთი გერმანელი ჯარისკაცი, 10 მძიმედ დაიჭრა. 50 თავდამსხმელი დაპატიმრებულია. ასეთი შეტაკება ხშირდება მთელს ნორვეგიაში.

ჰორტის ავადმყოფობა

ჟენევა, 10 ნოემბერი (საკდესი). როგორც ბუდაპეშტიდან იუწყებიან, იქ გამოცხადდა, რომ ავად გახდა უნგრეთის რეგენტი-მმართველი—ჰორტი.

საშინელი შიმშილი საბერძნეთში

სტამბოლი, 11 ნოემბერი (საკდესი). დღეს ჟურნალისტმა იუნუს ნადიმ გაზეთ „ჯუმხურიეთში" ვრცელი სტატია მოათავსა საბერძნეთში მძვინვარე შიმშილის შესახებ. ავტორი აღნიშნავს: ჩემს მიერ მოყვანილი ფაქტები მიღებულია ისეთი პირებისაგან, რომლებიც საბერძნეთიდან ეს-ეს არის ჩამოვიდნენ. საბერძნეთში,—სწერს ნადი, —ისეთი საშინელება სუფევს, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. ყველა ჰოსპიტალი სავსეა შიმშილით მომაკვდავი ბავშვებით. ამ უმწეო არსებათა პატარა სხეულები გვამებს ჰგვანან. სიკვდილი მათ განუწყვეტლივ სცელავს. რახიტი საშინლად არის გავრცელებული. ბევრი ბავშვი შიმშილის გამო ჰკუაზე ცდება. მძიმე ავადმყოფ ბავშვებისათვისაც კი ჰოსპიტლებს რძე არა აქვთ. ჰოსპიტლების გარეთ მყოფი ბავშვების მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია. ნადი სწერს, რომ იმ სრულიად მცირე ულუფა პურს, რასაც საბერძნეთში იძლევიან, მხოლოდ პირობით შეიძლება პური ეწოდოს. ეს შავი, მაგარი მასა ქვას უფრო წააგავს. პირდაპირ არა გჯერა, —სწერს ნადი,—რომ ადამიანს შეუძლია ამ ქვის ჭამა. ნადი მოგვაგონებს, რომ თურქეთის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოება ერთგვარ სასურსათო დახმარებას უწევს დამშეულ ბერძენ მოსახლეობას, და მოითხოვს, რათა გერმანიამ დაადასტუროს, რომ უცხოეთის სასურსათო დახმარება ბერძნებამდე მიაღწევს.

გერმანელები ვერ მორევიან სერბიაში გაჩაღებულ პარტიზანულ მოძრაობას

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის" ანკარელი კორესპონდენტის ცნობით, უცხოელ სამხედრო წრეებში გადმოგვცემენ, რომ გერმანელებმა სერბიაში პარტიზანული ომის მოსპობის მიზნით, პარტიზანთა განლაგების ადგილას პარაშუტისტთა რაზმები გადმოსხეს. მაგრამ გერმანელთა ცდა ამაო გამოდგა. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამჟამად პარტიზანები გაცილებით მეტ ტერიტორიას უწევენ კონტროლს, ვიდრე სექტემბერში. პარტიზანების ხელშია მთელი პროვინციები.

ბიულეტენი „ფორეინ კორესპონდენსი" გერმანელების სიძნელეთა შესახებ აღმოსავლეთის ფრონტზე

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი (საკდესი). ბიულეტენი „ფორეინ კორესპონდენსი" სწერს: გერმანიის კონფიდენციალური ცნობები, რომლებიც ვაშინგტონში მოდის, მოწმობენ, რომ გერმანიის არმია „მრავალ მოულოდნელობას" წააწყდა აღმოსავლეთის ფრონტზე. „წითელი არმიის მოულოდნელი ტაქტიკა,—სწერს ბიულეტენი,—ახალ მეთოდებს შეიცავს; წითელ მფრინავებს შესწავლილი აქვთ მტრის ზურგში მოქმედება. ისინი უხმაუროდ ჩნდებიან გერმანიის ცენტრების თავზე და ზარალს აყენებენ მათ".

„საბჭოთა კავშირთან ომი,—განაგრძობს ბიულეტენი,—სხვა ადგილებში ომს არა ჰგავს. გერმანელები აღიარებენ, რომ წითელი არმიის ხიშტით იერიშები ერთობ ეფექტიანია და რომ საბჭოთა არტილერია ჩინებულია, იგი ხანგრძლივ ღობურ ცეცხლს ჰქმნის. გერმანია ცდილობს დამალოს თავისი ზარალი, მაგრამ იმ წერილების 58 პროცენტი, რომლებიც კანადაში მყოფ გერმანელ სამხედრო ტყვეებს მოსდით, შეიცავენ ცნობას, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე დაღუპულა ამ წერილების ავტორების რომელიმე ნათესავი".

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობა სექტემბერში

ვაშინგტონი, 14 ნოემბერი (საკდესი). ვაჭრობის სამინისტროს ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტი სექტემბერში უდრიდა 417 მილიონ დოლარს, მაშინ როდესაც ამა წლის აგვისტოში იგი შეადგენდა 455 მილიონ დოლარს და გასული წლის სექტემბერში—295 მილიონ დოლარს. იმპორტი სექტემბერში უდრიდა 263 მილიონ დოლარს, მაშინ როდესაც 1941 წლის აგვისტოში შეადგენდა 283 მილიონ დოლარს და გასული წლის სექტემბერში—195 მილიონ დოლარს.

სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, შემცირდა რკინის, ფოლადის, მანქანებისა და ავტომობილების ექსპორტი. ამავე დროს სურსათის ექსპორტი შეადგენდა 50 მილიონზე მეტ დოლარს, ვიდრე რომელიმე სხვა თვეში 1930 წლის აგვისტოს შემდეგ. დიდძალი სურსათი გაიგზავნა ინგლისში.

მისალოცი დეპეშა ბენეშს

ლონდონი. გაზეთ „ჩეხოსლოვაკის" ცნობით, ჩეხურმა ნაწილებმა, რომლებიც სსრ კავშირში ყალიბდება, მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს ბენეშს ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის დღესასწაულთან დაკავშირებით. თავის პასუხში ბენეში უსურვებს ჩეხ ჯარისკაცებს სრულ და საბოლოო გამარჯვებას სსრ კავშირის მხარეზე, რომლის გმირული წინააღმდეგობა და გამარჯვების ურყევი რწმენა მათთვის მაგალითი უნდა იყოს.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ მიიღო ნეიტრალიტეტის კანონების შესწორებანი

ლონდონი, 14 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ გუშინ მიიღო ნეიტრალიტეტის კანონის შესწორებანი, რომელთა მიხედვითაც ნებადართულია ამერიკის სავაჭრო გემების შეიარაღება და ამერიკის გემების შესვლა საომარი მოქმედების ზონებში. ეს შესწორებანი გასულ კვირას მიიღო სენატმა.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, როგორც კი თეთრ სახლში შეიტყეს წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება, რუზველტმა პირადი მადლობა გამოუცხადა წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარეს რეიბერნს და დემოკრატთა ლიდერს სენატში მაკკომეინს. თეთრი სახლის მდივანმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, კმაყოფილია გადაწყვეტილებით. შეეხო რა კონგრესის გადაწყვეტილებას, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა განაცხადა, ეს უაღრესად გონივრული და დროული ღონისძიებაა. საზღვაო სამინისტრო უკვე იღებს ზომებს ამერიკის სავაჭრო გემების შეიარაღებისათვის. საზღვაო მინისტრმა ნოქსმა განაცხადა—ახალი გადაწყვეტილება შესაძლებელს გახდის გემებისა და ადამიანების გამოყენებას სამხედრო მასალების ისეთ ადგილებში და ისეთი მასშტაბით მისატანად, როგორც ამას მოითხოვს იმათი გამარჯვების უზრუნველყოფის ამოცანა, ვინც ჰიტლერის წინააღმდეგ და მსოფლიო ბატონობის დამყარების მისი ცდის წინააღმდეგ იბრძვისო.

ლონდონი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გაზეთი „დეილი მეილი" ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილებას ნეიტრალიტეტის კანონის შეცვლის შესახებ თავისუფლების საქმის უდიდეს გამარჯვებად სთვლის და აცხადებს, რომ ეს გადაწყვეტილება გამანადგურებელი ლახვრის ჩაცემაა ჰიტლერისათვის. გაზეთი სწერს, რომ ამ გადაწყვეტილებამ გაათავისუფლა ამერიკა იმ ხუნდებისაგან, რომლებიც ხელს უშლიდა მას სრული ზომით აღმოეჩინა ის დახმარება, რაც საჭიროა მოკავშირეთა უმოკლეს ვადაში გამარჯვებისათვის. გაზეთი „იორკშირ პოსტი" სწერს: „ეს გადაწყვეტილება დიდი ნაბიჯია წინ. იგი მხოლოდ ლოგიკური შედეგია რუზველტის იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც სავსებით მოიწონა ამერიკელთა უმრავლესობამ,—გადაწყვეტილებისა — უზრუნველჰყონ არა მარტო დასახული ამოცანების მიღწევისათვის საჭირო ყველა იარაღის წარმოება, არამედ ამ იარაღის მაქსიმალური რაოდენობით და რაც შეიძლება მოკლე ვადაში მიწოდებაც".

მდგომარეობა სერბიაში

სტამბოლი, 14 ნოემბერი (საკდესი). სტამბოლის იუგოსლავთა წრეებში იუწყებიან, რომ სავსებით ჩაიფუშა გერმანელთა ცდა—დაემყარებინათ კონტაქტი გადარჩენილ იუგოსლავურ პარტიებთან და შეეგროვებინათ მათი წრიდან გერმანიასთან თანამშრომლობის მომხრეთა კადრები. მხოლოდ ლიოტიკის „პარტიის" დაქსაქსულმა პაწაწა ჯგუფებმა გამოსთქვეს ოკუპანტებთან თანამშრომლობის სურვილი. ეს პარტია იუგოსლავიაში არასოდეს არ სარგებლობდა პოლიტიკური გავლენით. გერმანელთა მიერ სერბიის ოკუპაციამდე „სკუპშტინის" უკანასკნელ არჩევნებში ლიოტიკის პარტიამ მხოლოდ 30 ათასი ხმა შეაგროვა და ძლივს გაიყვანა ერთი დეპუტატი. გერმანელთა მიერ სერბიის ოკუპაციის შემდეგ ეს პარტია პატარა ხროვებად დაიშალა, რომლებსაც ახლა ოკუპანტები იყენებენ. კერძოდ, ნედიჩის კაბინეტის შემადგენლობაში არის ლიოტიკის ორგანიზაციის რამდენიმე წარმომადგენელი. იმ გაზეთების კადრებიც, რომლებსაც ნედიჩი უშვებს, ამ პარტიის წევრებისაგან შესდგებიან.

ბელგრადიდან ახლახან ჩამოსული პირნი იუწყებიან, რომ ნედიჩის „მთავრობამ" სერბიის ზოგიერთ რაიონში სარკინიგზო მიმოსვლა გააუქმა, რადგან უძლური აღმოჩნდა მოესპო ამ რაიონებში პარტიზანული რაზმები, რომლებიც რკინიგზის ხაზებს ანგრევენ. ამ დღეებში რკინიგზების დირექციამ გამოაცხადა, რომ წყდება მიმოსვლა პარხოვო-ნიშის, აგრეთვე მლადონევაც-ლაიკოვაცის ხაზებზე. ჩამოსულნი იუწყებიან, რომ ნოემბრის პირველ რიცხვებში დიდი ბრძოლა იყო პარტიზანებსა და გერმანელ ჯარებს შორის ცენტრალური სერბიის რაიონებში, აგრეთვე პეტროვაცისა და ალექსანდროვაცის რაიონში (აღმოსავლეთ სერბია).

ჰიტლერელთა ძირგამომთხრელი მუშაობა კოლუმბიაში

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი ბოგოტიდან იუწყება, რომ ამ უკანასკნელ ხანს ჰიტლერელებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს ძირგამომთხრელი საქმიანობა კოლუმბიაში. კერძოდ, ჰიტლერელებმა დაამთავრეს კოლუმბიაში მცხოვრებ 5 ათასი გერმანელი ქვეშევრდომის ორგანიზაციული გაერთიანება. ადგილობრივ ნაცისტთა მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ: გერმანიის საელჩოს მდივანი რაიგნერი, ატაშე შმიდტი, გერმანიის კონსული ბარანკილიაში რამელოვი და ზოგიერთი სხვა გერმანელი, რომლებსაც დიპლომატიური თანამდებობანი უკავიათ.

რუმინეთში ძლიერდება უკმაყოფილება საბჭოთა კავშირთან ომის გაგრძელების გამო

ლონდონი. როგორც გაზეთ „ტაიმსის" სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება, რუმინეთიდან მოსული ცნობები მოწმობენ გაძლიერებულ მასობრივ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომი გრძელდება. ეს უკმაყოფილება მით უფრო მატულობს, რაც უფრო მეტი რუმინელთა ჯარები იგზავნება ფრონტზე. გამოანგარიშებულია, რომ ახლა რუსეთში ნახევარ მილიონამდე რუმინელი ჯარისკაცი იბრძვის. შემდეგ კორესპონდენტი იტყობინება, რომ ყველა ჰოსპიტალი და კერძო სახლებიც კი სავსეა რუმინელი დაჭრილებით. გერმანელები ახლა თავის დაჭრილებს გზავნიან უნგრეთში, სადაც მათ უნგრეთის ჰოსპიტლებში 200 ათასი საწოლი დაჯავშნეს.

გერმანელებმა ბალკანეთში მთელი მოძრავი შემადგენლობის კონფისკაცია მოახდინეს

ლონდონი. გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ სარკინიგზო მიმოსვლა თურქეთსა და ევროპას შორის კვლავ შესწყდა. უკვე მთელი კვირის განმავლობაში ბულგარეთიდან არცერთი მატარებელი არ მოსულა. როგორც სტამბოლში ავტომობილებით მოსული პირები აცხადებენ, რკინიგზის მიმოსვლა იმის გამო შესწყდა, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე მასალების გასაგზავნად გერმანელებმა ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის მთელი მოძრავი შემადგენლობის კონფისკაცია მოახდინეს. სლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში მხოლოდ ადგილობრივი მატარებლები დადის. იუგოსლავიაში სერბიელი პარტიზანების მოქმედებამ სრულებით შესწყვიტა რეგულარული სარკინიგზო მოძრაობა.

გერმანელები ნორვეგიაში ელექტროენერგიის მოხმარებას ამცირებენ

სტოკჰოლმი. ნორვეგიის გაზეთებში გამოქვეყნებულია განკარგულება იმის შესახებ, რომ 20 პროცენტით უნდა შემცირდეს ელექტროენერგიის მოხმარება ოსლოში და მთელ სამხრეთ ნორვეგიაში. სავსებით აკრძალულია ელექტროღუმელებისა და სხვა გასათბობი ელექტროხელსაწყოების გამოყენება. გარდა ამისა, ოსლოს ცალკეულ რაიონებში ელექტროდენს ყოველ ღამეს რამდენიმე საათით ამორთავენ. ელექტროდენს აღარ მიაწვდიან ოსლოს არცერთ ეკლესიას.

ღერძის სახელმწიფოთა ზარალი ხმელთაშუა ზღვაში

ლონდონი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, აგვისტოდან ხმელთაშუა ზღვაში ჩაძირულ იქნა და სერიოზულად დაზიანდა ღერძის სახელმწიფოთა 165 ტრანსპორტი, სატვირთო ხომალდები და იალქნიანი ნავები. ოქტომბრის ბოლოს ღერძის სახელმწიფოთა ჩაძირული გემების საერთო წყალწყვა 4½ მილიონ ტონას შეადგენს. თუ მტრის გემების განადგურება მომავალშიც ასეთი ტემპით მოხდა, მაშინ წლის ბოლომდე ეს ციფრი 5 მილიონ ტონას მიაღწევს. აგვისტოდან დაწყებული, ინგლისის ფლოტმა ჩაძირა დაახლოებით 50 გემი, ავიაციამ ჩაძირა, ან სერიოზულად დააზიანა 115 გემი. ეს ციფრები რამდენადმე შემცირებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში ძნელია სამხედრო გემებისა და ავიაციის მიერ ჩაძირული გემების წყალწყვის დადგენა.

ფილმის „პროფესორ მამლოკის" დიდი წარმატება არგენტინაში

ნიუ-იორკი. არგენტინაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა ანტიფაშისტური ფილმის „პროფესორ მამლოკის" დემონსტრაცია. ამასწინათ გერმანიის ელჩმა არგენტინაში პროტესტი განაცხადა ამ სურათის დემონსტრაციის წინააღმდეგ. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ბუენოს-აირესიდან იტყობინება, არგენტინის ცენზურამ უარჰყო გერმანიის ელჩის პროტესტი.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის დაცვა

ნიუ-იორკი. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო მონრეალელი კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის დაცვის საკითხების შეერთებული გამგეობა შეუდგა მორიგ სხდომებს, რომლებიც 2 დღეს გაგრძელდება. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ამ სხდომებზე განხილული იქნება ჩრდილოეთ ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროს დაცვის საკითხები.

მუნიციპალიტეტების დაშლა საფრანგეთში

ნიუ-იორკი. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვიშიდან იუწყება, დაშალეს 25 მუნიციპალიტეტი, უმთავრესად სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში. 4 სხვა რაიონში თანამდებობიდან მოხსნეს 4 მერი ვიშის მთავრობისადმი ოპოზიციისათვის.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ინგლისის მინისტრი სსრ კავშირისათვის დახმარების გაწევის შესახებ

ლონდონი, 13 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ ომიანობის დროის ტრანსპორტის მინისტრმა ლორდ ლეზერსმა რუსეთისადმი ინგლისის დახმარების შესახებ განაცხადა: „რუსების ბრწყინვალე წინააღმდეგობა ჩვენთვის ღირსების მოვალეობად ხდის უაღრესად დავძაბოთ მთელი ჩვენი ძალღონე, რათა დავეხმაროთ მათ. მოსკოვში ნაკისრი ვალდებულებანი სრულდება და მთლიანად იქნება შესრულებული. ჩვენი დახმარება ყველაზე უფრო ეფექტიური იმ შემთხვევაში იქნება, თუ ყოველგვარ წვრილმანსაც კი მოვიფიქრებთ და დავამუშავებთ. ეს ამოცანა შესრულებულია, და უკვე შემუშავებულია საქონლის გაგზავნის თანამიმდევრობისა და ამ მიზნისათვის საჭირო ტონაჟის საკითხი. მე რომ შემეძლოს დაწვრილებითი ცნობების გამოქვეყნება, ეს გრანდიოზული პროგრამა თქვენს აღტაცებას გამოიწვევდა. მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვთქვა, რომ გამოვარკვიე საჭირო ტონაჟის ოდენობა და, თუმცა ეს მთელი ჩვენი ძალღონის დაძაბვას მოითხოვს, გემების მხრივ არავითარი ნაკლებობა არ იქნება და ჩვენს დაპირებებს შევასრულებთ. ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ, რათა უზრუნველვყოთ საომარი მასალების სწრაფად და უშიშრად მიწოდება რუსეთისათვის. ჩვენ მივაწოდებთ ამ საქონელს. ბევრი მათგანი უკვე მიღებულია რუსეთში, მნიშვნელოვანი ნაწილი გზაშია, ხოლო კიდევ უფრო მეტი გაიგზავნება.

ზოგიერთი ცნობა ახალი ინგლისური ბომბდამშენის შესახებ

ლონდონი, 13 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ლონდონში ამჟამად გამოაქვეყნეს ზოგიერთი ცნობა ავროს ახალი ინგლისური მძიმე ბომბდამშენის—„მანჩესტერის" შესახებ, რომლითაც შეიარაღებული არიან ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალები. ბომბდამშენი „მანჩესტერი" წარმოადგენს მთლიან ლითონის მონოპლანს, რომელსაც შუა ადგილას აქვს განლაგებული ფრთები, მას აქვს სითხის გასაცივებელი ორი 24 ცილინდრიანი მოტორი „როლს როის ვალჩერი" 2.000 ცხენძალის საერთო სიმძლავრისა. ფრთის გაქანება 90 ფუტს უდრის, თვითმფრინავის სიგრძე—70 ფუტს, სიმაღლე—19 ფუტსა და 6 დიუმს. ბომბდამშენის ბომბებით დატვირთულობა საიდუმლოდ არის დაცული, მაგრამ გამორკვეულია, რომ ბომბდამშენი ბომბების ერთობ დიდ ტვირთს ზიდავს. ბომბდამშენი „მანჩესტერი" კარგად არის შეიარაღებული. ცხვირის ტურელში დადგმულია 2 ტყვიამფრქვევი, ბოლოს ტურელში—4 ტყვიამფრქვევი და თვითმფრინავის შუა ნაწილში—2 ტყვიამფრქვევი. ბომბდამშენს სპეციალური მოწყობილობა აქვს პროპელერის ბოლოს ფრთასხმულობისა და რადიოანძის მოყინვის წინააღმდეგ საბრძოლველად. თვითმფრინავს გაკეთებული აქვს სპეციალური მოწყობილობა, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მის სტარტს. კარგად მოქმედებს ეკიპაჟის კაბინის გასათბობის სისტემა.

ინგლისელი მფრინავები აღნიშნავენ მანქანის მართვის სიადვილეს და ამ ბომბდამშენის კარგ მანევრობას.

„მანჩესტერის" ტიპის ბომბდამშენებმა უკვე არაერთხელ მიიღეს მონაწილეობა გერმანიის ტერიტორიაზე თავდასხმებში. კერძოდ, „მანჩესტერის" ბომბდამშენებმა სხვებს შორის გაფთრებით დაბომბეს გერმანიის სამხედრო ობიექტები 7 ნოემბერს, როდესაც ინგლისის ავიაციამ დიდი თავდასხმა მოახდინა გერმანიაზე.

მშიერი ზამთარი ნორვეგიაში

ამ უკანასკნელ ხანს ნორვეგიულ პრესაში სულ უფროდაუფრო ხშირად ვხვდებით შემდეგს გამოთქმებს: „ნორვეგიას მოელის ზამთარი, რომელიც ყველაზე მძიმე იქნება 1807-1809 წლების შიმშილის შემდეგ", „ფქვილის მარაგი არ არის", „ხმელაზე უნდა ვიყოთ", „უნდა ველოდეთ პროდუქტების გაცემის ნორმის შემდგომს შემცირებას", „ზედმეტზე უარი უნდა ვთქვათ", „რაციონში შევიტანოთ ვეშაპის ხორცი" და სხვ.

იმავე დროს ერთ-ერთი გაზეთი იძულებულია აღიაროს: „ზოგიერთ ოჯახში შამპანურს მიირთმევენ, მაშინ როდესაც დიასახლისები საათობით დგანან რიგებში მათხოვრული ულუფის მისაღებად და ხელცარიელი ბრუნდებიან შინ".

შვედური გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი" სწერს, ამასწინათ ოსლოს ქუჩებში პოლიციასა და მოსახლეობას შორის შეტაკება მოხდა. (საკდესი).

893 კაცი სიკვდილით დასაჯეს იუგოსლავიაში

ლონდონი, 12 ნოემბერი (საკდესი). ოფიციალური ცნობებით, რომლებიც იუგოსლავიის და უნგრეთის გაზეთებშია გამოქვეყნებული, სექტემბერში და ოქტომბერში მთელს იუგოსლავიაში საოკუპაციო ხელისუფალთ სიკვდილით დასაჯეს 893 კაცი. თითქმის ყველა მათ ბრალად ედებოდათ „კომუნისტური" მოღვაწეობა.

ქვემოდმოყვანილი ინფორმაცია განმეორებულია საკდესის მიერ ვრცელი რედაქციით.

„მშობლიური მოსკოვის დასაცავად"

მოსკოვი, („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). მოსკოვის ეკრანებზე გამოშვებულია „სოიუზკინოხრონიკის" მორიგი ნომერი, რომელიც მიძღვნილია მოსკოვის საბრძოლო ყოველდღიურობისადმი. ფილმი გვიხატავს დედაქალაქის მკაცრ საბრძოლო სახეს, გვიჩვენებს ქალაქის ცხოვრებაში მომხდარ ღრმა ცვლილებებს, მის შრომას და ყოფაცხოვრებას, რომლებიც მთლიანად მიძღვნილია ფრონტის საჭიროებისადმი. მნახველი დაინახავს მოსკოვის გარშემო სიმაგრეთა მშენებლობას, მებრძოლთა დაუსრულებელ წყებებს წითელ მოედანზე, ქუჩებში მიმავალ მუშათა ბატალიონებს. უკანასკნელ კადრებში ნაჩვენებია საჰაერო თავდაცვის მოსკოვის ზონის ერთერთი ნაწილის ქვემეხთა გუნდების ვარჯიში. ამ კინო-ჟურნალს ეწოდება „მშობლიური მოსკოვის დასაცავად". უეჭველია, მაყურებელი მას ყველგან უაღრესად გულთბილად შეხვდება.

მესტიაში დაიწყო სათხილამურო სეზონი

მესტია, („კომუნისტის" სპეც. კორ.). მესტიაში გაიხსნა სათხილამურო სეზონი, რომელსაც ადგილობრივი მეთხილამურეები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ. ამ დღეებში დაიწყება შეჯიბრებები სამთო-სათხილამურო სპორტში. აგრეთვე მიმდინარეობს მეთხილამურეთა ახალი კადრების მომზადება. სწავლებას ხელმძღვანელობენ შესანიშნავი მეთხილამურენი მურზაყან ჯაფარიძე და სსრ კავშირის ალპინიზმის ოსტატები გაბრიელ და ბეჟნუ ხერგიანები.

მეთხილამურეთა სადგურის განზრახული აქვს უახლოეს ხანში მოაწყოს სამთო-სათხილამურო გადასვლა კავკასიონიდან ყაბარდო-ბალყარეთში (მესტიის უღელტეხილის გადასვლით). უკან დაბრუნებისას მეთხილამურეები გადმოლახავენ ბეჩოს გადასასვლელს. გადასვლაში მონაწილეობას მიიღებს ათი საუკეთესო მეთხილამურე. გადასვლა გასამხედროებული იქნება და მიეძღვნება დიდ სამამულო ომს.

რ. მარგიანი

თბილისის სახცირკი

ყოველდღე საცირკო წარმოდგენა. ახალი ნომრები. ფრანგული ჭიდაობის მატჩები.

16 ნოემბერს ჭიდაობენ: ოსმან აბდურახმანოვი—დოვიდჩენკო, პლიასულია—ვსევოლოდ ხერცი, შევჩენკო—დენისოვი.

17 ნოემბერს—ოსმან აბდურახმანოვი—ბიკოვი, ვსევოლოდ ხერცი—ტიურინი, ვოლსკი — ვოდრიაკოვი.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ.—„კარმელიუკი", ოქტომბერი—„ცირკი", სპარტაკი — „დაგვიანებული სასიძო", 26 კომ. სახ.—„გულადი ნაზარა", ლუქსემბურგის სახ.—„ფრონტელი მეგობარი ქალები", კომინტერნი—„სიმღერა სიყვარულზე", მეცნიერება და ცოდნა „ანტონ ივანესძე ჯავრობს".

ანტიფაშისტური საღამო მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად **საქ. ალკკ** თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომი 17 ნოემბერს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში აწყობს ანტიფაშისტურ საღამოს.

საღამოში მონაწილეობენ მწერლები: შალვა დადიანი, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, ი. გრიშაშვილი, ალ. აბაშელი, სანდრო ეული, გ. ქუჩიშვილი, ს. თავაძე, ვ. გაბესკირია, ბ. სერებრიაკოვი, რუსთაველის სახელობის მსახიობები: ო. დოლიძე, თ. ბაქრაძე, ჯავახიშვილი, დ. ესებუა, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობი მ. ყვარელაშვილი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობები ნიკო გოცირიძე და ვ. გოძიაშვილი, მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობები: იანვარიშვილი, სალარიძე, ინგილო, ეპშტეინი, პოლოსოვა, თბილისის სახ. ცირკიდან: რაშკოვსკი და სელიოვა.

მთელი შემოსავალი შეტანილი იქნება თავდაცვის ფონდში.

მოხსენება

19 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის სალექციო დარბაზში (ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი) შესდგება **ამხ. ფრიშენბერგის** მოხსენება რუსულ ენაზე, თემა: **„საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი".**

ბილეთების მიღება შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების რაიონულ აგიტპუნქტებში.

თეატრებში

საოპერა — 16 ნოემბერს—„მეფის საცოლე", 18 ნოემბერს — „ევგენი ონეგინი", 19 ნოემბერს — „დაისი", **რუსთაველის სახელობის** — 16 ნოემბერს—„კოკვიძე". **მარჯანიშვილის სახელობის** — 16 და 18 ნოემბერს —„მკაცრი ქალიშვილები", 19 და 20 ნოემბერს — „მარგარიტა გოტიე", 21 ნოემბერს — „ურიელ აკოსტა". **ხანქულტურის ქართული თეატრი** — 16 ნოემბერს — „გაგრძელება იქნება", 18 ნოემბერს —„აჟიოლა". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—17 ნოემბერს „დიდი ივანე" (აბონემენტის გარეშე), 18 ნოემბერს —„გაიდარი" (მე-16 აბ.), 19 ნოემბერს— „სკაპენის ოინები" (მე-31 აბ.), **გრიბოედოვის სახელობის**—16 ნოემბერს—„ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ ა. წ. 5 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე და 9 დეკემბერს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის შენობაში (მარის ქ. № 33) 269-ე აუდიტორიაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დისერტაციას დაიცავენ:

5 დეკემბერს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ასისტენტი **ი. ე. ანჯაფარიძე** თემაზე: „ხოლანლულის ველის მლაშე ნიადაგების თვისებათა ცვალებადობა ათვისების პროცესში".

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. დ. პ. გედევანიშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მ. ნ. სახაშვილი და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ი. ა. ჩხენკელი.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად მეცნიერებათა მუშაკი **ს. ს. ხაჩატურიანი** თემაზე: „Культурные и дикие дыни Армянской ССР".

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი დოქტორი დ. ი. ხოხნოვსკი და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოც. გ. ქ. ჯაფარიძე.

9 დეკემბერს—სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ა. ა. რუხკიანი** თემაზე: „Овцеводство Армянской ССР и пути его качественного улучшения".

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი-დოქტორი ი. ი. კალუგინი, პროფესორი-დოქტორი ა. ზ. თამამშევი და პროფ. დ. გ. ალლაძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი დოც. **ნ. გელაშვილი**

დ ა კ ა რ გ უ ლ ი ა

სახელმწიფო იპოდრომის საცხოვრებელი სახლების კომენდანტის სამკუთხედი ბეჭედი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 12519

დ ა კ ა რ გ უ ლ ი ა

სამკერვალო № 7 ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტის მრგვალი ბეჭედი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 12518

თბილწყალსადენის ტრესტის აბონენტთა საყურადღებოდ

ზამთრის პერიოდის მოახლოვებასთან დაკავშირებით თბილისის წყალსადენის სამმართველო აფრთხილებს აბონენტებს მოიყვანონ სრულ წესრიგში წყალსაზომების ჭები და ამბრაზურები, მოახდინონ მათი დათბუნვა წყალსაზომების და გაშიშვლებული ძილსადენების ყინვებისაგან დაზიანების დაცვის მიზნით.

აღნიშნული ღონისძიების გატარებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახლთმმართველობას და საწარმოთა ხელმძღვანელებს.

თბილწყალსადენის ტრესტი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს, რომ ა. წ. 8 დეკემბერს, დღის 3 საათზე, სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) მედინსტიტუტის ყოფ. ასპირანტი **მარიამ ივლიანეს-ასული მიქელთაძე** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„აკრიდინ № 8 და ქინოლინ № 31-ის გამოყენება მალარიის მკურნალობის დროს".**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. ანდღულაძე და დოც. ოქროპირიძე. მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12).

დ ი რ ე ქ ც ი ა.

მოლოტოვის სახელობის რაიონის საბინაო სამმართველო იუწყება **მიტუშა (დიმიტრი) მიხეილის-ძე თოფურიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 16/XI 5 ს. ვარცხის, 23. კუკიის სასაფლაოზე. 12520

სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი იუწყება, რომ კვირას 16/XI 3 ს. კუკიის სასაფლაოზე გადაბრძანებულ იქნება ხსენებული ინსტიტუტის ლექტორის **სერგო ისიდორეს-ძე ნიქოზაძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 12522

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ/მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო—3—80 — 83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის—3—80—84; სამხედროსი—3—57—61; წერილების—3—73—24; პ/მგ მორიგისა და გამომშვების—3—81—65; გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 41438